საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 22 თებერვალი. 2018 წ. №38 (8439), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პრეზიდენტის ვეტო კვლავ ბექებზე აღმოჩნდა!

83 ხმით 13-ის წინააღმდეგ — პარლამენტმა საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით „მაუწყებლობის შესახებ“ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია.



კანონპროექტით საზოგადოებრივ მაუწყებელს უფლებამოსილება უფართოვდება და შეეძლება კანონმდებლობით განსაზღვრული შემოსავლები, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები დამწყები საწარმოების (სტარტეპები) წახალისების (ტელე, რადიო და ონლაინ პროდუქციის) ინოვაციური განვითარების, მაუწყებლობის სფეროში გარემოს განვითარების ხელშეწყობაზე მიმართოს.

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დასაშვები ხდება კომერციული რეკლამის განთავსება სამუშაო დღეებში, გარდა საუკეთესო დროსი (19:00 — 24:00). რეკლამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ყოველ საათში 3-წუთს. გარდა ამისა, იზრდება სპორტული რეპორტაჟის, საერთაშორისო ფესტივალისა და სხვა პროგრამების დროს კომერციული რეკლამის ხანგრძლივობა — ნაცვლად 30 წუთისა, იგი არ უნდა აღემატებოდეს 60 წუთს, ხოლო ყოველ საათში ნაცვლად 6 წუთისა, 12 წუთს.

საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს არხებზე დასაშვები ხდება სპონსორობა მხოლოდ სპორტული რეპორტაჟის, საერთაშორისო ფესტივალის (კონკურსის) და გასართობი გადაცემის, სერიალების დროს. საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო ვალდებული ხდებიან, ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 3 საათში ჯამში არანაკლებ 90 წამისა (ნაცვლად 1 საათში არანაკლებ 60 წამისა).

„მაუწყებლობის შესახებ“ კანონში ცვლილებებით, იმიჯნება უფლებამოსილებები საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტსა და სამეურვე საბჭოს შორის. დღეს არსებული კანონით, საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს სამეურვეო საბჭო ამტკიცებს და ასევე მას შეაქვს ბიუჯეტში ცვლილებები. კანონში შესატანი ცვლილებებით, საბჭო უფლებამოსილი იქნება მხოლოდ გენერალური დირექტორის წარდგინებით შეიტანოს ბიუჯეტში ცვლილებები. გარდა ამისა, საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებაში ცვლილების შეტანაც მხოლოდ დირექტორის წარდგენებით იქნება შესაძლებელი.

გარდა ამისა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი არ გავრცელდება დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამაზე, რომლებსაც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერის არანაკლებ 25% დაეთმობა. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით დადგენილი შეზღუდვები ასევე არ გავრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადასაცემი გადაცემების, ფილმების, სერიალების დამზადების მომსახურების შესყიდვაზე.

რაც შეეხება პრეზიდენტის ვეტოს, გიორგი მარგველაშვილი აღნიშნული კანონპროექტის იმ ნაწილს არ დაეთანხმა, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში კომერციული რეკლამის განთავსებას და სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხს ეხება.

მონოპოლიური ბიზნესი სახელმწიფოსა და ხალხის ყვლეფის ხარჯზე „ჯილდოვდება!“ ④

ჩრდილოვანი ეკონომიკა: გააჩნია დათვლის მექანიზმს!.. ③

არ შეგეშინდეთ, ღარიბის ლუკმა უფრო ტკბილია!

2018 წელს საქართველო ③ კვლავ ღარიბი იქნება

მარკ ცუკერბერგი და ქართველი კრიმინალები ⑤

გერმანიიდან საქართველოს 65 მოქალაქე გამოაძევეს

ქვეყანა იმ მოქალაქეებს დაატოვებინეს, რომლებსაც ევროკავშირის ტერიტორიაზე უვიზოდ ყოფნის პირობები ჰქონდათ დარღვეული. ინფორმაციას ადასტურებს საქართველოს საკონსულო. მათი ცნობით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან მორიგი რეადმისია განხორციელდა და უკან გამოაბრუნეს საქართველოს 65 მოქალაქე, რომლებმაც დაარღვიეს ევროკავშირის სივრცეში ყოფნის სავიზო რეჟიმი.

მწერლის თვალსაწიერი

ლაშა გვასალია: ⑦

უპირადო ცხოვრების კაცი

2050 წელს შავ ზღვაში უფრო მეტი პლასტიკური ნარჩენი იქნება, ვიდრე თევზი – UNDP

„შავ ზღვაში ორჯერ მეტი პლასტიკური ნარჩენი ტივტივებს, ვიდრე ევროპის ნებისმიერ სხვა ბუნებრივ წყალსაცავში“, — ამის შესახებ ინფორმაციას გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) ავრცელებს. **„ზღვის ბინადართა უფლებები ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ჩვენი. გადარჩენისთვის მათ ჩვენი დახმარება სჭირდებათ, დავიცვათ ჩვენი ზღვა და გადავარჩინოთ მისი ბინადარნი“,** — ვკითხულობთ UNDP-ის განცხადებაში. ამ საკითხზე მომზადებული ვიდეორგოლის დასასრულს ვკითხულობთ, 2050 წლისთვის შავ ზღვაში უფრო მეტი პლასტიკური ნარჩენი იქნება, ვიდრე თევზი.

ბიზნესის კეთება უნდა წავახალისოთ!

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის კეთება წავახალისოთ, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა. პრემიერმა განაკვეთის ხუთჯერ შემცირების ინიციატივაზე ისაუბრა.

„მთავრობის დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილია საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პაკეტი. ჩვენ ერთ-ერთ მასშტაბურ რეფორმას ვიწყებთ და ფინანსთა მინისტრის ძალიან კარგი ინიციატივაა — 120-ზე მეტ მეწარმეს შეეხება ეს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. აქ იგულისხმება ფიზიკური პირები. საუბარია განაკვეთის ხუთჯერ შემცირებაზე 5 %-დან 1 %-მდე. თუ ადრე იყო 100 000 ლარამდე ბრუნვა, 500 000 ლარამდე ბრუნვის მქონე კომპანიას მოიცავს. მართლაც ძალიან მასშტაბური ცვლილებებია. ეს არის მნიშვნელოვანი საგადასახადო ლიბერალიზაცია და მნიშვნელოვანი იმით არის, რომ პირველი ეტაპზე, რომელიც ჩვენ მოგების გადასახადის გაუქმებით განვახორციელეთ, ძირითადად, შეეხო საშუალო და მსხვილ მეწარმეებს, ხოლო კონკრეტულად ეს ცვლილებები ეხება წვრილ მეწარმეებს. ეს პირდაპირ არის დაკავშირებული მათ სოციალურ მდგომარეობასთან და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის კეთება წავახალისოთ, განსაკუთრებით ამ ნიშაში, რათა ჩვენი მოსახლეობის ფართო მასებმა იგრძნონ საკუთარ ჯიბეზე და საკუთარ ოჯახზე.

მე მოხარული ვარ, რომ ძალიან დიდი პოზიტივი მოჰყვა ამ ცვლილებებს პირველ ეტაპზე და მინდა გთხოვოთ, რომ მთელ ქვეყანაში მაქსიმალურად ყველამდე მივიტანოთ ეს ცვლილებები, ეს სიკეთე, რომელსაც ჩვენ ახლა ვთავაზობთ მოსახლეობას. ფინანსთა სამინისტროს დაგეგმილი აქვს მთელი ქვეყნის მასშტაბით მეწარმეებთან შეხვედრები და ძალიან კარგია, რომ ყველამ გაიგოს ეს შესაძლებლობა და ეს უდიდესი შეღავათი, რაც ამ ცვლილებებით არის გათვალისწინებული“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მარტვილში პოლიტიკური კრიზისი მწიფდება!

— ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხომაზე აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ოთარ დანელიამ განაცხადა. დანელიას თქმით, ამ პროცესების ესკალაციას „ქართული ოცნების“ რამდენიმე წევრი ხელს უწყობს.

„ჩვენ ამ თემასთან დაკავშირებით არაერთხელ გვქონდა საუბარი. მწიფდება პოლიტიკური კრიზისი, პირდაპირ შემიძლია, ვთქვა და ბატონო ირაკლი, მინდა, თქვენ მოგმართოთ თხოვნით, როგორც „ქართული ოცნების“ აღმასრულებელ მდივანს, რომ ჩაერიოთ სიტუაციის გარკვევაში. ვინაიდან, ფაქტია, რომ არაჯანსაღი სიტუაციაა და მე მაქვს ინფორმაცია, რომ რამდენიმე ჩვენი თანაპარტიელი ხელს უწყობს ამ პრობლემის ერთგვარ ესკალაციას“, — მიმართა ოთარ დანელიამ ირაკლი კობახიძეს.

დანელიამ ფაროსანასთან ბრძოლისთვის შექმნილ კომისიაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ უმჯობესია, ამ კომისიას პრემიერმა უხელმძღვანელოს:

„მოგეხსენებათ, მთავრობის ინიციატივით შეიქმნა უწყებათშორისო კომისია, რომელიც ფაროსანასთან ბრძოლის მთელ რიგ ღონისძიებებს შეიცავს. მე მინდა ლევან დავითაშვილს, რომელიც ხელძღვანელობს კომისიას, დიდი მადლობა გადავუხადო მის გუნდთან ერთად გაწეული სამუშაოსთვის და ძალიან კარგად მომზადებული გეგმისთვის. აქ არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, მე მაქვს განცდა, რომ არასათანადოდ არის აღქმული ის პრობლემა, რომელიც მიმდინარე წელს გვექნება. მე შეგახსენებთ გასულ წელს სამეგრელოს, იმერეთის სოფლებს, გურიას, პრაქტიკულად, გადაუარა აზიურმა ფაროსანამ, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა და განსაკუთრებით შემაშფოთებელია, როცა ინფრასტრუქტურის მინისტრი ბოლომდე არც კი ესწრება ამ სხდომას, ტოვებს მას დაწყებიდან რამდენიმე წუთში და ის ერთხელაც არ მინახავს ჩასული რეგიონში. მოვუწოდებ პრემიერ-მინისტრს, რომ გაცილებით ეფექტური იქნება, თუ ის თავად უხელმძღვანელებს ამ კომისიას. ამაზე დიდი საფრთხე ჩვენი ქვეყნის წინაშე დღეს არ არსებობს. ეს პრობლემა არაფრით არ ჩამოუვარდება იმ პრობლემას, რომელიც ხანძრის დროს იყო ბორჯომში და ვფიქრობთ, რომ იგივე დოზით, მთავრობის კონსოლიდაცია იგივე ფორმით არის საჭირო და სჭირდება უმაღლესი სტატუსი ამ ღონისძიებების ეფექტურად გატარებას“, — განაცხადა ოთარ დანელიამ.

* * *

„თუ ასეთი განცხადება გააკეთა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ? სხდომაზე ვიჯექი ჩვეულებრივად, დაახლოებით ერთი საათი. ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში მობილიზებულები ვართ თავიდან ბოლომდე, მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაქსიმუმს გავაკეთებთ, რომ ეს ჭირი დავამარცხოთ. ყოველ შემთხვევაში, წელს დიდი რაოდენობით შევამსუბუქოთ ის დაწოლა, რაც ფაროსანაზე გვაქვს. ერთ წელში ამის მთლიანად მოგვარება ძალიან რთული იქნება“, — განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ზურაბ ალავიძემ.

დღის წესრიგშია ბრიუსელის სამიტის აქტუალური საკითხები

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა **შეხვედრა გამართა უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილესთან ჯეიმი შეასთან.**

მხარეებმა განიხილეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციის და ბრიუსელის სამიტისთვის მზადების საკითხები, ქვეყანაში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები და ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარება. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ნატო-საქართველოს პრაქტიკული თანამშრომლობის ასპექტებზე.

ჯეიმი შეამ ხაზი გაუსვა საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში და აღნიშნა, რომ საქართველო ნატოს არაწევრი ქვეყნებიდან სამხედრო დანაყოფებით ყველაზე მსხვილი კონტრიბუტორია ავღანეთის მისიაში. ასევე საუბარი შეეხო ნატოს ძალისხმევაში შავი ზღვის უსაფრთხოების განმტკიცებაში, საქართველოს უფრო აქტიური ჩართვის პერსპექტივას.

დავით ზალკალიანმა ჯეიმი შეას მიაწოდა ინფორმაცია რიგით მეათე წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავების პროცესზე.

<u>მისეილ ჩხენკელი:</u> ავტორიზაცია მხოლოდ მაღალი აკადემიური ხარისხის უნივერსიტეტს ექნება

სახელმწიფომ სრული სიმართლე უნდა უთხრას ყოველ სტუდენტს, ყოველ აბიტურიენტს, მათ მშობლებს და ეს სიმართლე მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს მიერ ავტორიზებული უმაღლესი სასწავლებელი უნდა იყოს მხოლოდ ის უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს მაღალი აკადემიური ხარისხი, — ამის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„რამდენიმე უნივერსიტეტს როგორც მოგეხსენებათ შეუჩერდა ავტორიზაცია სწორედ ხარისხის დონიდან გამომდინარე და პირველ რიგში, მინდა, მივმართო ავტორიზაციაშეჩერებულ უნივერსიტეტების სტუდენტებს. ადამიანურად ძალიან კარგად მესმის, რომ მათთვის საკმაოდ ძნელი მოსასმენია ის გარემოება, რომ მათ უნივერსიტეტებს შეუჩერდათ ავტორიზაცია. მაგრამ მინდა, ყოველი სტუდენტი დავარწმუნო, რომ არც ერთი მათაგანი არ დარჩება უმაღლესი განათლების გარეშე. მათთვის სპეციალურად გამოცხადდება მობილობის პროცესი მხოლოდ ამ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის და მათ საშუალება ექნებათ, თავისი სურვილისამებრ მობილობით ისარგებლონ და გადავიდნენ ავტორიზებულ, მაღალი ხარისხის მქონე უნივერსიტეტებში“, — განაცხადა მინისტრმა, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ სტუდენტებს სამინისტრო და ხარისხის ეროვნული ცენტრი მაქსიმალურად დაეხმარებიან მობილობის პროცესში.

მისივე თქმით, ის მზად არის, შეხვდეს თითოეულ სტუდენტს და ისაუბროს ავტორიზაციის შეჩერების საკითხებზე.

ქართული პროდუქციის ნაწილზე თურქეთში დაწესებული კვოტები გაუქმდა

საქართველო და თურქეთი თავისუფალი ვაჭრობის **არსებული შეთანხმების გაფართოებაზე შეთანხმდნენ.**

ქართულ და თურქულ მხარეს მოლაპარაკების საბოლოო რაუნდი თურქეთის დედაქალაქ ანკარაში გაიმართა, სადაც ორი ქვეყნის დელეგაციის შეხვედრა შედგა. ქართულ დელეგაციას საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ხელმძღვანელობდა, თურქეთის დელეგაციას კი ქვეყნის ეკონომიკის მინისტრი ნიჰათ ზეიბექჩი.

შეთანხმების ფარგლებში, ქართულ ლიმონზე, კივიზე, ყურძენზე, ჩირზე, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებსა და წვენებზე, საკვებ ინგრედიენტებზე დაწესებული კვოტები გაუქმდა. გარდა ამისა, კვოტები

გაიზარდა ისეთ პროდუქციაზე, როგორიცაა თაფლი, რომელზეც თურქეთში მოთხოვნა საკმაოდ დიდია. კვოტები აგრეთვე გაიზარდა ცოცხალ ცხვარზე და თხაზე, მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე.

„მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად, ქართულ ბიზნესს მიეცემა შესაძლებლობა, 20 პროცენტით გაზარდოს ექსპორტი თურქეთის რესპუბლიკაში,“ — განაცხადა საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა მოლაპარაკების დასრულების შემდეგ.

მისი თქმით, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი ვაჭრობა დაფარავს მომსახურებით ვაჭრობასაც, რომელზეც მოლაპარაკებები გაგრძელდება.

მესტიაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „ჰოსტელი“ იყიდება

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში მესტიაში, სეტის მოედანზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „ჰოსტელი“ იყიდება. აუქციონი 20 მარტისთვისაა ჩანიშნული და ობიექტის საწყისი ღირებულება 550 ათას 500 ლარს შეადგენს.

აუქციონის პირობების მიხედვით, მყიდველი ვალდებულია, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 3 წლის ვადაში, საპრივატიზებო უძრავ ქონებაზე ან მის ნაწილზე მინიმუმ 8 ნომრის მქონე სასტუმრო მოაწყოს, რისთვისაც 300 ათასი ლარის ინვესტირება მოუწევს. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში ტურიზმის განვითარებასა და ინვესტორებს მისცეს შესაძლებლობა, უკვე არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით მოაწყონ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასტუმრო კომპლექსები.

სახელმწიფო ქონება მოტყუებით მიისაკუთრეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო **სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, ორი პირი დააკავეს.**

ბრალდებულები, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მოტყუებით დაუფლნენ მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 2 000 მ2 და 3 000 მ2 ფართობის მიწის ნაკვეთებს, რომელთა საბაზრო ღირებულება ჯამში 94 000 ლარს შეადგენს. გამოძიების მიმდინარეობისას, ერთ-ერთი ბრალდებულის მიერ მიყენებული ზიანი 36 000 ლარის ოდენობით სრულად იქნა ანაზღაურებული.

არ შეგეშინდეთ, ღარიბის ლუკმა უფრო ტკბილია!

2018 წელს საქართველო კვლავ ღარიბი იქნება

ბლუმბერგის მონაცემებით, **2017 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა იყო 4,8%, სომხეთში — 7,7%, აზერბაიჯანში — 0,1%, რუსეთსა და ბელარუსში — 1,5%.**

2018 წლის იანვარში წლიურმა ინფლაციამ საქართველოში 4,3% შეადგინა, სომხეთში — 2.7%, რუსეთში — 2.2%, ყაზახეთში — 6.8%, ბელარუსში — 4,6%, აზერბაიჯანში — 7.8%.

2017 წელს საქართველოს მშპ გაიზარდა 4,2%-ით, აზერბაიჯანში 1,3%-ით, ბელორუსში 0,7%-ით, რუსეთში 1,6%-ით, სომხეთში 2,9%-ით.

2018 წლის მონაცემებით, მშპ ერთ სულ მოსახლეზე საქართველოში არის 4529 დოლარი, სომხეთში — 3853 დოლარი, აზერბაიჯანში - 4439 დოლარი, ბელარუსში — 5745 დოლარი, რუსეთში — 10630 დოლარი.

საქართველოს მშპ შეადგეს 16.7 მილიარდ დოლარს, სომხეთის მშპ შეადგენს 11.5 მილიარდ დოლარს, აზერბაიჯანის 43.8 მილიარდ დოლარს, ბელარუსის 54 მილიარდ დოლარს, რუსეთის 1,5 ტრილიონ დოლარს.

საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი საქართველოში არის 293,5 ლარი. საქართველოს მოსახლეობა საქსტატის მონაცემების მიხედვით შეადგენს 3,718,200 ადამიანს, აქედან ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა 2 მილიონია, დასაქმებულია 1,7 მილიონი ადამიანი. საქართველოში საშუალო თვიური ხელფასი 307 დოლარია, სომხეთში — 283 დოლარი, აზერბაიჯანში — 256 დოლარი, რუსეთში — 1050 დოლარი.

მსოფლიო ბანკის კვლევის მიხედვით, საქართველოს მშპ 2018 წელს გაიზრდება 5%-ით. აღსანიშნავია, რომ 2011 წელს საქართველომ დააფიქსირა 7.2%-იანი მშპ-ს ზრდა, შემდგომ წლებში მშპ-ს პროცენტული ზრდის ტემპი საგრძნობლად შემცირდა.

2018 წლის დაანონსებული 5%-იანი ზრდა არ გამოიწვევს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის რადიკალურ გაუმჯობესებას. ვიდრე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი ორნიშნა რიცხვს არ გადააჭარბებს, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე საუბარი ნაადრევია. ეს განსაკუთრებით მათ ეხებათ, ვინც შემოსავლის გადანაწილების მიხედვით დაბალ საფეხურზეა. ოფიციალური სტატისტიკით სიღარიბის დონემ დაიწია, თუმცა საქართველოში მოსახლეობის 30% კვლავ სიღარიბის ზღვარს მიღმა რჩება.

სახელმწიფოს სოციალური პროგრამები მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსახლეობის ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. თევზის დარიგების ნაცვლად უმჯობესია, სახელმწიფომ მოსახლეობას მისი დაჭერა ასწავლოს და ანკესი მისცეს. დამოუკიდებელი და კომპეტენტური სასამართლო, ნაკლები ბიუროკრატია და სწრაფ განვითარებაზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა, — სწორედ ეს უნდა იყოს ხელისუფლების მთავარი ამოცანა და პრიორიტეტი.

გიორგი ჭკადუა

იმ მონაპოვარს, რასაც თავისუფალი მედია ჰქვია, ჩვენს ხელისუფლებაში ვერავინ შეეხება!

— ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა. ხელისუფლება, რომელმაც მოიტანა ის, რომ პრაქტიკულად დღეები სჭირდება ახალი ტელევიზიის დარეგისტრირებას და ფუნქციონირების დაწყებას, ნამდვილად ვერ მიიღებს ბრალდებას, რომ მედიაზე ზეწოლა ხდება.

„მინდა, აუცილებლად გამოვეხმაურო იმ ძალიან არაჯანსაღ აჟიოტაჟს, რომელიც მედიასაშუალებებზე ე.წ ზეწოლას ეხება. ჩვენი ხელისუფლების პირობებში ასეთი ტიპის ბრალდებები სრული აბსურდია. გამორიცხულია, ჩვენი ხელისუფლების პირობებში ასეთი რამ ხდებოდეს. მინდა, ყველას ვუთხრა, რომ ასევე გამორიცხულია, ჩვენი ხელისუფლების პირობებში საკუთარი ბიზნესი ვინმემ გამოიყენოს ხელისუფლების შანტაჟის იარაღად და ჩვენ დავრწმუნდით, რომ სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მთელი გუშინდელი საღამო მიეძღვნა ამ თემატიკას. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ეს არის გამორიცხული. ხელისუფლება, რომელმაც მოიტანა ის, რომ პრაქტიკულად დღეები სჭირდება ახალი ტელევიზიის დარეგისტრირებას და ფუნქციონირების დაწყებას, ნამდვილად ვერ მივიღებთ ამ ბრალდებებს. იმ მონაპოვარს, რასაც თავისუფალი მედია ჰქვია, ჩვენს ხელისუფლებაში ვერავინ შეეხება. გამორიცხულია, ასეთი რამ ხდებოდეს, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ამას“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

თავისუფალ მედიაზე შეტევა არ ხდება!

„პატრიოტთა ალიანსის“ წევრმა, ნატო ჩხეიძემ ტელეკომპანია „იბერიაზე“ ზეწოლის შესახებ კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ დღეს თავისუფალ მედიაზე შეტევა არ ხდება. ჩხეიძის თქმით, მედიაზე შეტევა 2004 წელს ხდებოდა.

„შანტაჟი ყველას მხრიდან დაუშვებელია. „იბერია“ და სხვა ტელეკომპანიები დამოუკიდებლები არიან და ისინი არანაირი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზემოქმედებისთვის გამოყენებული არ არიან. მედიის საშუალებით შანტაჟის რაიმე მცდელობა აბსოლუტურად გამორიცხულია, მედიას თავისი საქმე აქვს, მთავრობას თავისი და პარლამენტს — თავისი. თუ ყველა თავის საქმეს კარგად გააკეთებს, ეს მხოლოდ ჩვენს მომავალს წაადგება. შეტევა ის იყო, რაც 2004 წელს განხორციელდა და გახსოვთ, „იბერიის“ მიმართ რა განხორციელდა. შეტევას იმას ვერ დავარქმევ, რაც შეიძლება ახლა ხდებოდეს. დღევანდელი ვითარება 2004 წლის ამბებისგან ძალიან განსხვავებულია“, — დასძინა ჩხეიძემ.

„ეს ხდება იმიტომ, რომ ტელეკომპანიამ ვეღარ გააგრძელოს მაუწყებლობა დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით“

„იბერია“ ტელეკომპანიაზე მიზანმიმართულ შეტევაზე საუბრობს. განცხადება არხის საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა გააკეთა. ვახო ხუზმიაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში „ომეგა ჯგუფს“ სერიოზული ფინანსური ზიანი მიადგა, რამაც გავლენა იქონია ტელეკომპანია „იბერიას“ ფინანსურ მდგომარეობაზე. ტელეკომპანიაში ვარაუდობენ, რომ მათ ფინანსურ პრობლემებს ხელისუფლება უქმნის.

„ეს ხდება მიზანმიმართულად იმისთვის, რომ ტელეკომპანიამ ვეღარ გააგრძელოს მაუწყებლობა დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკით. ტელეკომპანია „იბერია“ არის ტელევიზია, რომელიც ყველა ხელისუფლების პირობებში ხდება მიუღებელი დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის გამო. ჩვენ ჟურნალისტები მოვუწოდებთ ხელისუფლებას აღკვეთოს ომეგა ჯგუფის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებები“, — განაცხადა „იბერიას“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა.

„ცოტა შანტაჟის სუნი ასდის და ამ ქვეყანაში შანტაჟი ისჯება“

უმრავლესობის წევრი ლევან გოგიჩაიშვილი ტელეკომპანია „იბერიას“ შანტაჟში ადანაშაულებს. გოგიჩაიშვილის თქმით, მაუწყებლობა საკუთარ პრობლემებს ხელისუფლებას აბრალებს.

„ეს არასერიოზულია თითქოს ხელისუფლება რაღაცაში ერეოდეს ან რამე ინტერესი გააჩნდეს. განცდა დამრჩა, რომ ამ კომპანიას კონკურენტ კომპანისთან პრობლემები აქვს და ამას აბრალებს სახელმწიფოს. ცოტა შანტაჟის სუნი ასდის და ამ ქვეყანაში შანტაჟი ისჯება“ — აცხადებს ლევან გოგიჩაიშვილი.

აურზაური ქართული ეკონომიკის გარშემო!

საქართველოს ეკონომიკის ნახევარზე მეტი ჩრდილშია?!

„საერთაშორისო სავალუტო ფონდის“ კვლევის თანახმად საქართველოს ეკონომიკის 53 % ჩრდილოვან სექტორშია. „თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ ანალიტიკოსის მარიამ ლაშხის შეფასებით ეს საგანგაშო მაჩვენებელია. მისივე თქმით, ჩრდილოვანი ეკონომიკა (სხვანაირად ცნობილია, როგორც შავი ეკონომიკა, ფარული ეკონომიკა, ნაცრისფერი ეკონომიკა, არაფორმალური ეკონომიკა, ნაღდ ფულზე დაფუძნებული ეკონომიკა ან ნაკლოვანი ეკონომიკა) ძირითადად განვითარებადი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი და ასეთი მაჩვენებლით საქართველო შესაძლოა ინვესტორებისთვის ნაკლებად მიმზიდველი ქვეყანა გახდეს. აგრეთვე შეიძლება კითხვის ქვეშ დადგეს ბიზნეს-გარემოს გამჭვირვალობის საკითხი.

„ძირითადად ასეთ არაფორმალურ ეკონომიკაში დომინირებს მომსახურების სფერო, იგივე საყოფაცხოვრებო ან სატრანსპორტო მომსახურება. მაგალითად, ტაქსისტების, ყოველთვიური შემოსავლის 20 პროცენტი ბიუჯეტში არც აკუმულირდება და არც ზუსტი მონაცემები გადაეცემა შემოსავლების სამსახურს ცნობისთვის. მსგავსი მაგალითები არაერთია“, — აცხადებს ლაშხი.

„თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ ანალიტიკოსის განმარტებით, სახელმწიფომ აღნიშნული პრობლემა დაუყოვნებლივ უნდა მოაგვაროს. კერძოდ, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომ ფარული ეკონომიკა გამოაშკარავდეს და მოხდეს მისი აღრიცხვიანობა, თუმცა ეს შეიძლება, აუცილებლად გადასახადების დაწესებას არ გულისხმობდეს, საუბარია საქმიანობის დეკლარირებაზე.

მოცემული „კვლევა ეფუძნება 1991-2015 წლის შედეგებს, რომლის მიხედვითაც 2010 წლამდე ჩრდილოვანი ეკონომიკა საქართველოში 64 პროცენტს შეადგენდა. ამჟამად ტენდენცია კლებადია, თუმცა ვითარება მაინც არასახარბიელოა. საქსტატის მონაცემებით, დღეს საშუალო შემოსავალი ქვეყანაში 940 ლარია, თუმცა ფაქტია, უამრავი ოჯახს მსგავსი შემოსავალი არ აქვს, ამიტომ მათთვის საშემოსავლო გადასახადი დამატებითი ტვირთია. უნდა შეიქმნას მაკონტროლებელი ორგანოც, რათა პროცესები იყოს გამჭვირვალე“, — აღნიშნავს **მარიამ ლაშხი** და დასძენს რომ ბოლო წლებში სავალუტო ფონდის დაკვირვებით ფარული ეკონომიკის წილი საქართველოში მუდმივად მცირდება, საჭიროა ამ ტრენდის როგორც შენარჩუნება, ასევე გაძლიერებაც.

სახელმწიფოს მხრიდან ქმედითი ნაბიჯების გადადგმის ინიციატივას იზიარებს სტატისტიკოსი **სოსო არჩვაძეც**. მისი თქმით, ამ შემთხვევაში შემოსავლებისა და აუდიტის სამსახურმა თავისი მოვალეობა უკეთესად უნდა შეასრულონ.

„მაგალითად, ერთ წელში რეგისტრაცია გაიარა დაახლოებით 50 ათასამდე სამეურნეო სუბიექტმა. არადა, ისინი რომ ნამდვილად არსებობდნენ, დასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით მეტი იქნებოდა. ამიტომ შესაბამისმა უწყებებმა უკეთესად უნდა შეასრულონ დაკისრებული ვალდებულება. რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევის შედეგებს, ციფრები ოდნავ გადაჭარბებული მგონია, თუმცა მდგომარეობა, ყველა ვითარებაში, არასახარბიელოა“, — აღნიშნავს არჩვაძე.

მისივე თქმით, **საქართველოს ჩრდილოვანი ეკონომიკა 53 %-ის ნაცვლად, 20-25 % რომც იყოს, ვითარება მაინც არ არის თავისუფალი ბიზნესგარემოს შესაბამისი.**

„ფონდის კვლევის შედეგები შეიძლება ზუსტი არ იყოს და შავი ეკონომიკა შეადგენდეს რეალურად შექმნილი დამატებითი ღირებულების 20-25 %-ს. შედარებისთვის, ამერიკაში ეს მაჩვენებლი არის 3 ან 8 % , გააჩნია დათვლის მექანიზმს,“ — განმარტავს სტატისტიკოსი.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ 1991-2015 წელს, 158 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის მიხედვით მსოფლიოში ჩრდილოვანი ეკონომიკის საერთო მოცულობა 31,9 %-ია. 2015 წლის მონაცემები რეგიონში ასე გამოიყურება: თურქეთი — 31.38%, რუსეთი — 38.42%, სომხეთი — 42.59%, აზერბაიჯანი — 52.19%, საქართველო -53,07 %.

სალომე ლემონჯავა

ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები...

სასტუმრო „ვერე პალასში“ პროექტის — „ტყის მდგრადი მართვის კრიტერიუმები და ინდიკატორები ცენტრალურ აზიასა და სამხრეთ კავკასიაში“ შესახებ რეგიონალური შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე, პროექტში ჩართული ქვეყნების: საქართველოს, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის წამომადგენლებმა, შემუშავებული ტყის მდგრადი მართვის ეროვნული კრიტერიუმები და ინდიკატორები წარმოადგინეს. ასევე, გაეროს ვროპის ეკონომიკური კომისიისა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ტყის მონიტორინგის სპეციალისტთა ჯგუფმა, პროექტში მონაწილე ქვეყნებს გამოცდილება გაუზიარეს, რაც გათვალისწინებული იქნება ტყის მდგრადი მართვის სისტემის შემუშავების პროცესში, რომელიც მომავალში გამოიყენება ტყის მართვის მონიტორინგისთვის, ეროვნული და საერთაშორისო ანგარიშგებისთვის.

შეხვედრას გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და UNECE/FAO-ს 7 ქვეყნის წარმომადგენელი (პოლონეთი, ფინეთი, შვეიცარია, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, ნორვეგია, რუსეთის ფედერაცია) ესწრებოდა.

პრობლემები 50 ათას ლარად გვარდება

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, შატბერაშვილის №4-ში წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

სამუშაოების ფარგლებში, განახლდება საკანალიზაციო სისტემა, გამოიცვლება მილები, რის შემდეგაც, გარე პერიმეტრზე, რეაბილიტირებულ მონაკვეთზე ასფალტის ახალი საფარი დაიგება.

სარეაბილიტაციო სამუშაოებს ვაკის რაიონის გამგებელი ნოდარ ტურძელაძე და საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი გიორგი მუსხელიშვილი გაეცნენ.

„აღნიშნულ მისამართზე საკმაოდ მასშტაბური სამუშაოები მიმდინარეობს. წყალარინების გაუმართავი ქსელი კორპუსში მცხოვრებ 97 ოჯახს პრობლემებს უქმნიდა. შესაბამისად, ადგილობრივი მცხოვრებლების განცხადების საფუძველზე, გამგეობამ საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის პროექტი დააფინანსა, რისთვისაც ბიუჯეტიდან დაახლოებით, 50 000 ლარი გამოიყო. ჩვენ აქტიურად განვაგრძობთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობას, თუმცა უკვე ახალი წესით. ამ წესის მიხედვით, საჭირო ინფრასტრუქტურული სამუშაოები ამხანაგობას სრულად, 100%-ით დაუფინანსდება. თავად ამხანაგობას კი, ეკისრება ვალდებულება, რომ დაფინანსებული სამუშაოების ღირებულების არანაკლებ 10%-ის ოდენობის თანხა შეაგროვოს და საერთო ქონების ინფრასტრუქტურულ განვითარებას, მოვლა-პატრონობას მოახმაროს“, — განაცხადა ვაკის რაიონის გამგებელმა.

მონოპოლიური ბიზნესი სახელმწიფოსა და ხალხის ყვლეფის ხარჯზე „ჯილდოვდება!“

„საქართველოში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაგნაციის მდგომარეობაა, ამიტომ ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს, რომ ქვეყანას მხოლოდ ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე ორინეტირებული რადიკალური ეკონომიკური რეფორმები გადაარჩენს“, — ასე აფასებს ეკონომიკის ექსპერტი, პროფესორი აზიკო სისვაძე, ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას, რომელიც ხელისუფლებას სტრატეგიულ და ინოვაციურ იდეებს სთავაზობს.

For.ge **გთავაზობთ აზიკო სისვაძეს საუბარს.**

— ეკონომიკა პოლიტიკის ფუნდამეტია და თქვენ, როგორც ეკონომისტი, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას?

— ეს არის ეკონომიკური და პოლიტიკური სტაგნაციის მდგომარეობა, როდესაც ქვეყანა ტკეპნის ერთ ადგილს და განვითარების ამჟამინდელი ტემპებით ჩვენ სამუდამოდ განვითარებადი, ჩამორჩენილი, ღარიბ-ღატაკი ქვეყნების რიგებში დავრჩებით.

დღევანდელი სამწუხარო პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალობა ისაა, რომ ხელისუფლება ორიენტირებულია არა გრძელვადიანი პერსპექტიული სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაწყვეტაზე, არამედ მომდევნო არჩევნებამდე ხელისუფლების შენარჩუნებაზე. შესაბამისად, იგი ცდილობს, გადაჭრას უპირატესად უმნიშვნელო, მოკლევადიანი რუტინული საკითხები და არა დაჩქარებულ განვითარებასა და წარმატებულ მომავალზე ორიენტირებული.

— თქვენ ფიქრობთ, რომ პოლიტიკურ ველზე არ არის ოპოზიცია, რომელიც ღირსეულ ოპონირებას გაუწევს ხელისუფლებას და ქვეყენას სტაგნაციის მდგომარეობიდან გამოიყვანს?

— როდესაც არსებობს საზოგადოებრივი მოთხოვნა მკვეთრ ცვლილებებზე, გამოწვევების შესაბამისი პოლიტიკური ლიდერები თუ პარტიები ადრე, თუ გვიან აუცილებლად გამოჩნდებიან. ეს ისტორიის კანონზომიერებაა. ამჟამად კი, სამწუხაროდ, ასეთი არ ჩანს, რადგან პარტიები ერთმანეთთან უსაგნო ამბიციურ ბრძოლაში არიან ჩაბმულები და ნაკლებად რჩებათ დრო ხალხისთვის პროგრესული იდეების მისაწოდებლად და დასარაზმად.

ხელისუფლება კი რეაგირებას ახდენს მხოლოდ მიმდინარე ნაკლებად შედეგიან გამოწვევებზე, თან არცთუ ისე ეფექტურად და მხედველობიდან რჩება სტრატეგიული, გაცილებით დიდი სახელმწიფოებრივი სარგებლის მომტანი პრობლემები. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სტაბილური წარმატებებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა სტრატეგიულ აზროვნებაზე გადის.

— რას გულისხმობთ სტრატეგიულ პრობლემებში, ანუ რა რჩება ხელისუფლებას მხედველობიდან?

— თანამედროვე სამყაროში სტრატეგიული სახელმწიფოებრივი აზოვნება გულისხმობს ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული ისეთი გრძელვადიანი პრიორიტეტული მიზნების დასახვას და მათი მიღწევის საშუალებათა ჩამოყალიბებას, რომელიც ქვეყანას მოკლე დროში შეზღუდული რესურსებით მსოფლოს წამყვან პოზიციებზე გაიყვანს, უზრუნველყოფს ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს და ღირსეულ საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ამასთან, გადაიჭრება ყველა ის პრობლემა, რომელიც დღეს საზოგადოებას აწუხებს, ესაა უმუშევრობა, ინფლაცია, სოციალური უთანასწორობა, ქვეყნის თავდაცვა და უსაფრთხოება, ტერიტორიული მთლიანობა და სხვა.

დღეს რეალურად არსებობენ ყოფილი ჩამორჩენილი, მწირი ბუნებრივი რესურსების მქონე ქვეყნები, რომლებმაც მიმდინარე და პერსპექტიული პრობლემების გაცნობიერების საფუძველზე დასახეს სტრატეგიული მიზნები და გაატარეს რადიკალური, სისტემური და ყოვლისმომცველი ეკონომიკური რეფორმები, რის შედეგად მცირე ხანში „ეკონომიკურ ვეფხვებად“ გადაიქცნენ.

მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიწასთან გასწორებულმა და გაპარტახებულმა, ფსიქოლოგიურად დათრგუნულმა ორმა ქვეყანამ, გერმანიამ და იაპონიამ, რადიკალური ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების საშუალებით მიაღწიეს იმას, რომ დღეს ისინი მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყენებად იქცნენ. ასეთი მაგალითები დღესაც საკმაოდ ბევრია,

„ქვეყანა იმართება არა სალი აზრით, არამედ „მენეჯერული არასრულფასოვნების კომპლექსის სინდრომით“

კერძოდ, ისრაელი, კორეა, სინგაპური, ჰონკონგი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები...

ქართველმა ერმა ისტორიულად დაამტკიცა, რომ მას საამისო ინტელექტუალური პოტენციალი ნამდვილად გააჩნია. საკმარისია, გავიხსენოთ იმ ქართველთა წარმატებული მოღვაწეობა უცხოეთში, რომლებმაც სათანადო ასპარეზის პრობებში თავი დაიმკვიდრეს, როგორც მაღალი დონის მოაზროვნეებმა და რეფორმატორებმა. საქვეყნოდ ცნობილია ქართველთა ღვაწლი ირანის (უნდილაძეები), თურქეთის, ეგვიპტის (მამლუქები) სახელმწიფოების ფორმირებაში, რუსეთის იმპერიის (პეტრე პირველი, სტალინი) ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში, ამერიკული სამხედრო ავიაციის შექმნაში (ქართველიშვილი) და სხვა.

ჩვენს ქვეყანას ამჟამადაც სჭირდება ინოვაციურად და სტრატეგიულად მოაზროვნე ხელისუფლება, რომელსაც უნარი ექნება, გაატაროს ისეთი რადიკალური რეფორმები, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში 1-2 ათწლეულში მსოფლიოს მოწინავე პოზიციებზე გაიყვანს.

— როგორი სახის რეფორმები გაქვთ მხედველობაში?

— ეკონომიკური რეფორმები უნდა იყოს არა უსისტემო და ფრაგმენტული, როგორც ეს ახლა ხდება, არამედ რადიკალური, ღრმა, ინოვაციურ განვითარებაზე ორიენტირებული და უნდა მოიცვას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარე. უნდა დავიწყოთ მისი ფუნდამენტიდან — განათლებიდან და მეცნიერებიდან, რადგან თანამედროვე ცოდნიდან და შემოქმედებითი აზოვნებიდან იწყება ყველაფერი. თანამედროვე ევროპულ ეკონომიკას ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკას უწოდებენ. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ **მეცნიერება საზოგადოებრივი პროგრესის ლოკომოტივია, რომელიც დღეს სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ამ მიმართულებებით სახელმწიფომ ბიუჯეტში გაიზარდოს შესაბამისი ხარჯების ხვედრითი წილი სულ ცოტა იმ დონემდე, როგორიც ესაა ინოვაციურად განვითარებად ქვეყნებში, თუნდაც სახელმწიფო ვალის აღების ხარჯზე.**

მიჩნეულია, რომ განათლებასა და მეცნიერებაში ჩადებული თანხა ყველზე ეფექტური ინვესტიციაა. ცნობილი სენტენციაა: „მაჩვენეთ სამყაროს საყრდენი წერტილი და მე მას შევატრიალებ“. მეცნიერება და განათლება კი რეფორმირების სწორედ ასეთი წერტილია.

ამას უნდა მოჰყვეს სულ ცოტა საკადრო, საგადასახადო, სტრუქტურული და ინსტიტუციურ-საკანონმდებლო რეფორმები.

— რას გულისხმობთ საკადრო რეფორმაში?

— ერთ-ერთი გადაუდებელი, სახელმწიფოებრივი პრობლემა კადრების ფორმირების და შერჩევის მახინჯი პრაქტიკაა. საჯარო სამსახურებში ჩვენი ეკონომიკის მასშტაბებთან შედარებით გაცილებით მეტი თანამშრომელია დასაქმებული, ვიდრე მრავალგზის ძლიერ, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში და თან ნაკლებად კვალიფიციური. ამდენად, სავარაუდოდ, 10 თანამშრომლის შეცვლა ერთი კვალიფიციური კადრით სავსებით შესაძლებელია.

კიდევ უარესი, ქვეყანა იმართება არა სალი აზრით, არამედ „მენეჯერული არასრულფასოვნების კომპლექსის სინდრომით“, რომლის შესაბამისად, ყოველი არაკვალიფიციური მაღალი დონის საჯარო ხელმძღვანელი საკუთარი არაკომპეტენტურობის

იხ. მე-6 გვ.

საქართველოში ბოლო პერიოდში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მკვლელობებზე, კრიმინალზე, გარჩევებზე და სროლაზე. ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ქვეყანა მოიცვა კრიმინალურმა ქაოსმა, ხალხს ეშინია გარეთ გასვლის, ქუჩებში კი ყოველდღე ხდება სისხლიანი ანგარიშსწორებები.

კრიმინოგენური სიტუაცია ქვეყანაში მართლაც მძიმეა, თუმცა...არ დაგვიწყდეს — ეს ხომ საქართველოა, და აქ ხშირად ყველაფერი ისე არაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

ალბათ, პარადოქსია, მაგრამ ამ საუბრების ფონზე, რეალური მკვლელობების რაოდენობა ქვეყანაში არ არის უსაშველოდ მაღალი.

მარკ ცუკერბერგი თუ უშველის ამ ქვეყანას, თორემ მთავრობისა და პოლიციის დიდი იმედი, ალბათ, არავის აქვს.

სწორედ Facebook-ის წყალობით შესაძლებელი იქნება საშუალოვადიან პერსპექტივაში მკვლელობების კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორის აღმოფხვა — საუბარია ნაძირალა მამების მუდმივ მზადყოფნაზე, გადაეფარონ თავიანთ ნაძირალა შვილებს — ძირითადად პირადი კავშირებისა და ფულის მეშვეობით.

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოში 2016 წელს მოკლეს 79 ადამიანი, რაც ვერ ჩაითვლება განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლად. 2017 წლის სტატისტიკა ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა სავარაუდოდ დიდი და კარდინალური ცვლილებები ამ მხრივ არც გასულ წელს იყო.

თუმცა, ჩვენ არასდროს არ ვენდობით სტატისტიკას და საამისოდ საკმარისზე მეტი მიზეზი გვაქვს — ყველამ კარგად ვიცით ჩვენში ციფრებით მანიპულირების ხანგრძლივი და მდიდარი ტრადიციების შესახებ.

მარტივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ 2017 წლის დეკემბერში საქართველოში მოკლეს 7 ადამიანი, 2018 წლის იანვარში — 8, თებერვლის განვლილ პერიოდში — 7. გამოდის რომ ოფიციალური სტატისტიკა ან არ ტყუის, ან ტყუის მცირედით — ზოგადი სურათი ემთხვევა.

მეტიც, ანალოგიურ მაჩვენებლებს ვხედავთ გაეროს მოხსენებაში მსოფლიოში განზრახ მკვლელობების რაოდენობის თაობაზე. საქართველოს მაჩვენებელი საშუალოევროპულზე ცოტათი მაღალია, მსოფლიო მასშტაბით კი — საკმაოდ დაბალი — 2,6 მკვლელობა 100 000 ადამიანზე.

ეს ცოტაა თუ ბევრი? გააჩნია როგორ შევხედავთ და ვისთან შედარებით. მაგალითად, გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, ჰოლანდიაში — 1-ზე ნაკლები, შვედეთში — 1,1, საფრანგეთში — 1,5, ბელგიაში — 1,9.

ჩვენზე მაღალია მკვლელობების კოეფიციენტი რუსეთში — 11,3, თურქეთში — 4,3, ირანში — 4,3. საქათველოსთან თითქმის ანალოგიური სიტუაციაა მეზობელ ქვეყნებში — აზერბაიჯანში და სომხეთში.

რაც ყველაზე საოცარია, ჩვენ გვისწრებენ ამ მაჩვენებელში ბალტიის ქვეყნები — ლიტვაში 100 000 ადამიანზე წლიურად ხდება 5,8 მკვლელობა, ხოლო ესტონეთში — 3,2...

თუმცა, ეს კიდევ არაფერია **— საქართველო სამოთხეა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან შედარებით. ცივილიზებულ და თითქმის ევროპულ არგენტინაში მკვლელობების მაჩვენებელი შეადგენს 6,5-ს 100 000 ადამიანზე, ხოლო ისეთ სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყნებში როგორებიც ვენესუელა, გვატემალა, ჰონდურასი და სალვადორია — აღწევს 100 მკვლელობას 100 000-ზე.**

ანუ რა გამოდის? ჩვენი შეშფოთება, მრავალსაათიანი ტელედებატები, აღშფოთებული პოსტები სოციალურ ქსელებში — ეს ყველაფერი მხოლოდ ჭიქაში ქარიშხალია და არაფერი განსაკუთრებული არ ხდება?

საერთოდ რაზეა ლაპარაკი მაშინ, როდესაც უმშვიდეს და მოწესრიგებულ ბელგიაშიც კი მკვლელობების რაოდენობა მხოლოდ 40%-ით ნაკლებია ვიდრე საქართველოში?

სამწუხაროდ, ეს ის სიტუაციაა, როდესაც ციფრები ვერ ასახავს რეალობას სრულფასოვნად. საზოგადოებრივი აღშფოთების მთავარი მიზეზია არა მკვლელობების რაოდენობა, არამედ მათი ფაქტიური უმიზეზობა.

საჯარო ინფორმაციის ელემენტარული ანალიზიც კი ნათლად გვიჩვენებს — მკვლელობების ძირითადი მიზეზი საქართველოში არის „შელაპარაკება“. ადამიანები უმოწყალოდ ხოცავენ ერთმანეთს რაღაც უაზრო კინკლაობის გამო, თანაც ისეთ თემებზე, რაც ნორმალურ ქვეყნებში გახდებოდა მხოლოდ 5-წუთიანი წაკინკლავების მიზეზი.

განსაკუთრებით ეს ეხება სკოლის მოსწავლეებს და მოზარდებს. მკვლელობების მოტივი — „ასე რატომ მიყურებ, ვინ ხარ? მე ვინ ვარ? შენ თვითონ ვინ ხარ?“... მსგავს სისულელეებს ყოველწლიურად ეწირება ათობით ახალგაზრდა.

სწორედ ესაა აღშფოთების მთავარი მიზეზი — მკვლელობების დიდი ნაწილის სრული უაზრობა და არაპროგნოზირებადობა.

საქართველოში მკვლელობის დიდი უმრავლესობა არაა დაკავშირებული კრიმინალთან. მკვლელების დიდი ნაწილი არაა ბანდიტი, ან რომელიმე დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი და ალბათ მთელი თავისი უბადრუკი ცხოვრების მანძილზე, გვარიანად არც მოუპარავს არაფერი.

აზრი, თითქმოს ქურდული სამყარო აკონტროლებს ახალგაზრდობას და ახდენს გავლენას სკოლებზე — არასწორია. ქურდულ გაგებას გააჩნია დიდი გავლენა მოზარდებზე, ოღონდ მხოლოდ მენტალიტეტის დონეზე, და არა პირდაპირი.

ეს, რა თქმა უნდა, კავშირშია ახალგაზრდულ მკვლელობებთანაც.

რა არის ქურდული გაგება? პირველ რიგში — ყოველდღიური და დაუმთავრებელი თავის დამკვიდრება. არავის არაფერი არ უნდა შეარჩინო, და ყველა უნდა „დააჩმორო“ — აი ამ ავადმყოფურ იდეოლოგიაზეა გაზრდილი ქართველთა თაობები ათწლეულების მანძილზე.

ამას არა აქვს არანაირი შეხება ეკონომიკურ სიტუაციასთან, „სოციალიზაციასთან“ და სხვა მოდურ თემებთან. გახსოვთ 80-იანი წლები როდესაც თბილისში ახალგაზრდები კლავდნენ ერთმანეთს ჯინსის ქურთუკების გამო? და რა, ვინმე ფიქრობს, ამას იმიტომ აკეთებდნენ რომ ვიღაცას ჯინსის ქურთუკი გაუჭირდა?

სინამდვილეში ქურთუკის წართმევა იყო სწორედ ის, ქურდული მენტალიტეტი — „ადგილის დაკვიდრება“ და მეტი არაფერი.

ან გაიხსენეთ 90-იანი წლები, და სადისტური საძმოები, რომელთა შორის ყველაზე სადისტურები იყვნენ ვერის საძმო და კულინარები — პრესტიჟული, მდიდარი ოჯახების შვილები.

დღევანდელი სიტუაცია საქართველოში არის როგორ ლატარია — არავინ არ იცის, ვის მოკლავენ ხვალ რაღაც უაზრო შელაპარაკების გამო. ახალგაზრდობის დიდი ნაწილი დადის დანებით, და ეს არის მუდმივი, ყოველდღიური საფრთხე.

ამიტომაც, საქართველოში, რომელიც კრიმინალის თვალსაზრისით ნამდვილად არის ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა მსოფლიოში, მშობლებს ეშინიათ შვილების გაშვება სკოლებში.

ესეც — მორიგი ქართული პარადოქსი, ისეთივე არალოგიკური და აუხსნელი, როგორც ყველა დანარჩენი..

ეს არის დღეს საქართველოში ყველაზე მწვავე პრობლემა.

ყველაფერი შეიძლება აიტანოს ადამიანმა — მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ჩინოსნების უტვინობა, კორუფცია. ეს ყველაფერი არაფერია მოულოდნელ სატელეფონო ზართან შედარებით, როდესაც თქვენთვის უცნობი ხმა გეუბნებათ — „თქვენს შვილს 3-ჯერ დაარტყეს დანა, აუცილებლად მოდით საავადმყოფოში“...

ამ დროს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ეს ხდება მხოლოდ 2,6-ჯერ 100 000-ზე.

და სწორედ ამ ტრაგედიას ვერ აჩვენებს ვერანაირი ციფრი, და ვერანაირი კოეფიციენტი...

რა თქმა უნდა, მუდმივად ისმის კითხვა — რითი უნდა უშველო ამას? ბუნებრივია, საჭიროა უმკაცრესი პრევენციული ზომები — მუდმივი შემოწმებები სკოლაში, აქტიური მოქმედებები ე.წ. „ბირჟების“ წინააღმდეგ, სადაც მოზარდები სწავლობენ სწორედ ამ პათოლოგიურ ვითომ „კაიბიჭურ“ გაგებას, რომელიც შემდეგ ხდება მკვლელობების პირდაპირი მიზეზი.

როგორც აჩვენა წინა ხელისუფლების გამოცდილებამ, მკაცრ, და თუნდაც სასტიკ ზომებს არ შეუძლია ამ დაავადების მთლიანი განკურნება, მაგრამ, მისი სიმწვავის შემცირება სავსებით შესაძლებელია.

უმიზეზო მკვლელობის პრევენციაში დიდი როლი ენიჭება სოციალურ ქსელებს.

მარკ ცუკერბერგი თუ უშველის ამ ქვეყანას, თორემ მთავრობის და პოლიციის დიდი იმედი ალბათ არავის აქვს.

სწორედ Facebook-ის წყალობით შესაძლებელი იქნება საშუალოვადიან პერსპექტივაში მკვლელობების კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორის აღმოფხვა — საუბარია ნაძირალა მამების მუდმივ მზადყოფნაზე გადაეფარონ თავიან ნაძირალა შვილებს — ძირითადად პირადი კავშირებისა და ფულის მეშვეობით.

ბოლო თვეების მანძილზე ჩვენ უკვე დავინახეთ ახალი რეალობა — დამნაშავის პასუხისმგებლობისგან არიდება გახდა ბევრად უფრო რთული სწორედ სოციალური ქსელების გამო.

ჩვენ უკვე ვნახეთ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც მკვლელი ან მოძალადე უკვე ფაქტიურად გადამალული იყო, ან გირაოს გადახდის შემდეგ მშვიდად დასეირნობდა ქალაქში.

თუმცა სწორედ სოციალურ ქსელებში და მერე ტელევიზიებში ატეხილი ხმაურის შედეგად ხელისუფლება იძულებული გახდა დაეკავებია დამნაშავეები.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენ გვაქვს საქმე არა პროფესიონალ კრიმინალებთან, არამედ ცუდად აღზრდილ არამზადებთან — ასეთმა მკაცრმა საზოგადოებრივმა პრესინგმა, უსასტიკეს პრევენციასთან ერთად, შესაძლებელია საბოლოო ჯამში გამოიღოს შედეგი.

არა დღეს და ხვალ, რა თქმა უნდა, თუმცა მაინც...

შესაძლებელია, როდისმე, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაში მშობლებს არ შეეშინდეთ შვილების გაშვება სკოლაში...

თენგიზ აბლოთია

„ვაპირებ, პროკურორს ვუთხრა იმ სავარაუდო ბაბუების გვარების შესახებ“

„სამართალდამცველთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა პროკურატურაში დაიბარეს. საქმე ეხება ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას და ჩანაწერს, რომელიც კუპრავამ რამდენიმე დღის წინათ გაავრცელა:

„მე ვაპირებ, პროკურორს, ვუთხრა იმ სავარაუდო ბაბუების გვარების შესახებ, რომლებიც ცდილობენ მოწმეების მოსყიდვას, ცდილობენ გამოძიებაში უხეშად ჩარევას. დანარჩენი უკვე პროკურატურაზეა. ისინი, ალბათ, შემდეგ ეტაპზე დაიბარებენ იმ ადამიანებს, ვისაც მე მათ დავუსახელებ და ვნახოთ, გამოძიება რა დასკვნამდე მივა. ძალიან მნიშვნელოვანია ამ საქმესთან დაკავშირებით, გამოძიება მიმდინარეობდეს ისე, რომ არც ერთ ადამიანს, არც ერთ გარეშე პირს არ შეეძლოს მასში ჩარევა და რაიმე ზეგავლენის მოხდენა გამოძიების შედეგებზე,“ — განაცხადა ზვიად კუპრავამ.

აუდიოჩანაწერში ხორავას ქუჩაზე მოკლული მოსწავლეების მეგობრები ყვებიან, რომ ინციდენტში მონაწილე ზოგიერთი არასრულწლოვნის ოჯახის წევრი ფაქტების დამახინჯებით არის დაინტერესებული და სასურველი ჩვენების მისაღებად მათ სოლიდურ თანხას სთავაზობს.

ნატოს გენმდივნის თანაშემწის მოადგილე კიბერუსაფრთხოების ბიუროში

ნატოს გენერალური მდივნის თანაშემწის მოადგილე უსაფრთხოების ახალი გამოწვევების საკითხებში დოქტორი ჯეიმი შეა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ კიბერუსაფრთხოების ბიუროს ეწვია. ნატოს დელეგაციას მასპინძლობა კიბერუსაფრთხოების ბიუროს დირექტორმა როდიონ ქორჩილავამ გაუწია. შეხვედრის დროს სტუმრებს ბიუროს ისტორიის, მიზნების, ამოცანების და სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს და სამომავლო გეგმები გააცნეს. მხარეებმა ასევე, ალიანსსა და თავდაცვის სამინისტროს კიბერუსაფრთხოების ბიუროს შორის სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები განიხილეს.

შეხვედრას იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კიბერდანაშაულის სამმართველოსა და კიბერუსაფრთხოების ბიუროს თანამშრომლები დაესწრნენ.

◎ საპენსიო გადასახადი?

მთავრობა ალიარებს, რომ რეფორმის გარეშე პენსიონერთა პრობლემებთან უძლურია

საპენსიო **რეფორმის დაწყებამდე მის წინააღმდეგ ისევ აზრთა სხვადასხვაობაა. ოპოზიციისა და არასამთავრობო სექტორის ნაწილი აცხადებს, რომ საპენსიო რეფორმა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, რამდენადაც ჩანაწერი ახალი გადასახადის შემოღებას მხოლოდ რეფერენდუმის ჩატარების შედეგად გულისხმობს. ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ თუ არა რეფორმა, რთულ სოციალურ ყოფას ვერც მომავალი პენსიონერები დააღწევენ თავს. 10-20 ლარით პენსიის გაზრდა საქმეს ვერ უშველის, ხოლო რეფორმის შედეგად კი 30 წელიწადში საპენსიო თანხა გაექვსმაგდება.**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში განმარტავენ, რომ საპენსიო შენატანი გაიგივებული უნდა იქნას გადასახადისა და მოსაკრებლის სამართლებრივ ბუნებასთან და უნდა მოექცეს საქართველოს კონსტიტუციის 94-ე მუხლის რეგულირების სფეროში.

„რამდენადაც სავალდებულო საპენსიო შენატანი ამ დრომდე არ ყოფილა გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, გამოდის, რომ ხდება გადასახადის ახალი სახის შემოღება, რაც მხოლოდ რეფერენდუმის გზითაა შესაძლებელი. **შესაბამისად, იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს საკუთრების უფლების შეზღუდვის ფორმალური კრიტერიუმები სავალდებულო საპენსიო შენატანების, შემოთავაზებული სახით მიღება, მხოლოდ რეფერენდუმის საფუძველზე — ხალხის მაქსიმალური ჩართვით უნდა განხორციელდეს“,** — განმარტავენ საია-ში.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის **ნიკოლოზ გაგუას** განცხადებით კი, საპენსიო რეფორმა რეფერენდუმის ჩატარებასთან კავშირში არ არის.

„გადასახადების განმარტება გვაქვს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული განმარტებით, გადასახადი არის, რაც მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში ზოგადი ხარჯების დასაფინანსებლად. ეს კი არის თანხა, რომელიც გროვდება პიროვნების პირად ანგარიშზე და არის მისი პირადი საკუთრება. უბრალოდ, იგი გამოიყენებს მას საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ. აღნიშნული თემა არ ექვემდებარება რეფერენდუმის ჩატარებას“, — განაცხადა გაგუამ და თან ამტკიცებს, რომ 30-35 წლის განმავლობაში თანხის დაზოგვის შემთხვევაში პენსია 6-ჯერ გაიზრდება. ამ მეთოდით საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ე.წ. ღირსეული პენსიის მიღებას.

სრულიად საპირისპირო მოსაზრება აქვს „ევროპული საქართველოს“ წევრს **ოთარ კახიძეს,** რომელიც მიიჩნევს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი ე.წ. რეფორმა სინამდვილეში არის ხელფასების შემცირებისკენ გადადგმული ნაბიჯი. ამ კანონის მიღებით ყველა მოქალაქეს ხელფასი დაეკლდება.

„ეს კანონპროექტი 40 წლამდე ასაკის ყველა მოქალაქეს 4%-მდე შეუმცირებს შემოსავალს. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ადამიანს, ვისაც შემოსავალი აქვს 1000 ლარი თვეში, მას გადასახადის სახით, დამატებით, სახელმწიფო წლის ბოლოს გამოართმევს 500 ლარს. **ეს რეფორმა რომ სასარგებლო იყოს, იქნებოდა არა სავალდებულო, არამედ ნებაყოფლობითი.**

კანონპროექტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციასაც, რომლის თანახმად, დაუშვებელია გადასახადის დაწესება რეფერენდუმის გარეშე. ახლა გვთავაზობენ ახალ ე.წ. საპენსიო გადასახადს, რის შედეგადაც ყველა მოქალაქეს, ვისაც ხელფასი აქვს, დააკლდება შემოსავალი, ყველა დამქმებელს მოუწევს ახალი გადასახადის გადახდა დასაქმებულის სასარგებლოდ და გამოიწვევს 20-დან 30 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობის ზრდას“, — განაცხადა კახიძემ.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი კოვზანაძე** ამბობს, რომ საპენსიო რეფორმის გარეშე ვითარებიდან გამოსავალი ვერ მოიძებნება. დღეს სახელმწიფო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი (დაახლოებით 45%) სოციალური ხარჯებია და მიუხედავად ამისა, პენსიონერები საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენაა. დღეს არსებული პენსიის ოდენობა საკმარისი არ არის ღირსეული ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

„გრძელვადიან პერსპექტივაში პრობლემას ვერ გადაჭრის პენსიის 10, 20 თუნდაც 60 ლარით გაზრდა. ამიტომაც, აუცილებელი და საჭიროა ფუნდამენტური ცვლილებები ამ მიმართულებით.

იმისთვის, რომ საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს, უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და გახდეს კონკურენტული, ჩვენ გვჭირდება სწრაფი და ფუნდამენტური რეფორმები სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი მიმართულება კი საპენსიო რეფორმაა. ეს საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდია, რომელიც გულისხმობს დასაქმებულის, დამსაქმებლის და სახელმწიფოს, ანუ სამი მხარის თანამონაწილეობას და სოლიდარულ პასუხისმგებლობას“, — აღნიშნა კოვზანაძემ.

ბექა დანელია

(მეოთხე გვერდიდან)

მონოპოლიური ბიზნესი სახელმწიფოსა და ხალხის ყვლეფის ხარჯზე „ჯილდოვდება!“

შესანიღბად და თანამდებობის დაკარგვის შიშით ხელქვეითებად ნიშნავს უფრო დაბალი დონის „სპეციალისტებს“, თანაც ნეპოტიზმის და უპრინციპობის ნიშნით. ეს უკანასკნელნი კი ამავე მოსაზრებით არჩევს თავის დაქვემდებარებულ აპარატს. საბოლოოდ გამოდის, რომ საჯარო სამსახურები კომპლექტდება არა ქვეყნის ინტელექტუალური ელიტიდან, არამედ ინტელექტუალური ნარჩენებით.

— ასეთივე სავალალო მდგომარეობაა ქვეყნის საგადასახადო სისტემაში?

— ეკონიკური რეფორმების განხორციელების უმძლავრესი ინსტრუმენტი საგადასახადო პოლიტიკაა. ამჟამად იგი ჩვენთან ასრულებს მხოლოდ ერთადერთ ფუნქციას, ესაა გადასახადების ამოღება და ბიუჯეტის შევსება. თუმცა, დღეს თვით პირველკურსელმა სტუდენტებმაც კი იციან, რომ მათ აკისრიათ ეკონომიკური, მოტივაციის, რეგულირების, ანტიმონოპოლიური და სოციალური ფუნქციები, რომლებისგანაც ჩვენი საგადასახადო სისტემა „გამოშიგნულია“.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავისი ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში ამ მიმართულებით დაუშვა უდიდესი, დილეტანტური შეცდომა, როდესაც კონსტიტუციით დააკანონა, რომ მთავრობას უფლება არა აქვს, გადასახადები რეფერენდუმის გარეშე გაზარდოს, თუნდაც იქ და მაშინ, სადაც ეს სასიცოცხლოდ აუცილებელია. სამწუხაროდ, იგივე შეცდომა გაიმეორა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამაც.

ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული საგადასახადო განაკვეთების ერთიანობა მთელი ეკონომიკის მასშტაბით. მსოფლიოს წარმატებული ქვეყნების პრაქტიკით ისინი დარგების პრიორიტეტულობის მიხედვითაა დიფერენცირებული. კერძოდ, პროგრესულ დარგებზე წესდება დაბალი გადასახადები. მათი მეშვეობითვე იზღუდება მონოპოლიებიც მაღალი პროგრესული გადასახადების დაწესების გზით.

საღ კრიტიკას ვერ უძლებს საშემოსავლო გადასახადის ერთიანი 20%-იანი განაკვეთი. თუ თქვენი 300-ლარიანი ხელფასიდან 60 ლარი უნდა გადაიხადოთ საშემოსავლო გადასახადის სახით და კიდევ გყავთ ოჯახში სხვა სარჩენი წევრები, ფაქტიურად, ეს ნიშნავს არსებობას შიმშილის ზღვარზე ან მის ქვემოთ. მაშინ, როდესაც 10 000-ლარიანი ხელფასის პირობებში 2000 ლარი საგადასახადო დანაკლისი კეთილღეობის თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია.

ასეთი არაკვალიფიციური მიდგომა ქვეყნის საგადასახადო სისტემაში საკმაოდ ბევრია. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო პოლიტიკა უნდა განვიხილოთ, როგორც ეკონომიკის რეგულირების უმძლავრესი ინსტრუმენტი, რომელზეც ბოლო ორმა ხელისუფლებამ შეგნებულად თქვა უარი.

— რა უნდა გაკეთდეს საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებით?

წამოიდგინეთ თუნდაც ის ფაქტი, რომ მსხვილი მონოპოლიური ბიზნესი, რომელიც ამჟამად მოსახლეობის, ჯანსაღი კონკურენტული ბიზნესისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ყვლეფის ხარჯზე დაუმსახურებლად იღებს მრავალმილიონიან ზემოგებას, იბეგრება საშუალო და მცირე ბიზნესის თანაბრად. ე.ი. გამოდის, რომ იგი აკრძალული კრიმინალური საქმიანობისთვის ჯილდოვდება.

მონოპოლიზაციის ტენდენციების მოთოკვა შესაძლებელია ამ თვალსაზრისით სახიფათო ბარიერის მიღწევის შემდეგ მოგებაზე და ბრუნვის მაჩვენებელზე პროგრესული — ზრდადი ანტიმონოპოლიური გადასახადის განაკვეთების დაწესებით. ამ პირობებში მონოპოლიური მდგომარეობა ბიზნესისთვის წამგებიანი გახდება და ეს პრობლემა ძალიან მარტივად მოიხსნება. ცივილიზებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში მონოპოლიები და მათი მესვეურები მკაცრად ისჯებიან და იქ მათ თავზე ხელს არავინ გადაუსვამს იმის გამო, რომ მდიდარი და გავლენიანნი არიან!

სხვათა შორის, ის მონოპოლიები, ოლიგარქიის ჩათვლით, რომელიც ახლა ქვეყანას ჭამენ და აჩანაგებენ, თვით სააკაშვილის ხელისუფლებამ გამოზარდა, რომლებმაც შემდეგ სააკაშვილი და მისი ხელისუფლება დაუნდობლად გადაყლაპეს.

— ხელისუფლება აცხადებს, რომ ბოლო წლებში ეკონომიკის ზრდის ტემპი რამდენადმე დაჩქარდა. რას იტყვით ამაზე?

— დღეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების მთავარ მაჩვენებლად მიჩნეულია მშპ ზრდის წლიური ტემპი. 2017 წელს მან 4,8% შეადგინა, რაც აშკარად არაა საკმარისი ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად. მაგრამ, მთავარია არა რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ზრდა, მათ შორის, ბიზნესის მომგებიანობის თვალსაზრისით.

საქსტატის მონაცემების მიხედვით 2005 წელს მთლიანი სამეწარმეო სექტორის მოგებამ ზარალის გამოკლებით შეადგინა 659 მილიონი ლარი, 2010 წელს 1 923 მილიონი, 2012 წელს 3 732 მილიონი, 2015 წელს კი 1 968 მილიონამდე შემცირდა. უფრო მძიმე მდგომარეობაა სახელმწიფო მეწარმეობის სექტორში, რომელიც ბოლო წლებში მთლიანად ზარალიანი გახდა გაღრმავებადი ტენდენციით.

2015 წელს სახელმწიფო საწარმოთა ზარალმა 424 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2016 წელს — 161 მილიონი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ამ სექტორის ხვედრითი წილი მთლიან ბიზნესში ბოლო თხუთმეტ წელიწადში სისტემატურად მცირდება.

— რა უნდა გაკეთდეს ქვეყნის დემოკრატიზაციის გაღრმავების მიმართულებით?

— ყველაზე მეტად საგანგაშოა საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების უაღრესად დაბალი დონე, რის გამოც ამომრჩეველი ხმას აძლევს იმ პარტიას, რომელიც მას სხვაზე დამაჯერებლად და „იმედიანად“ გააცურებს.

ამ ფონზე ერთ-ერთ გადაუდებელ ღონისძიებად გვესახება „მოსახლეობის პოლიტიკური განათლებისა და განვითარების“ მძლავრი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნა სათანადო დაფინანსებით, ტელევიზიით, გაზეთით და რადიოთი, რომელმაც უპირველესად, იმაზე უნდა იზრუნოს, რომ მოსახლეობამ პარტიათა შორის სწორი რაციონალური არჩევანის გაკეთება შეძლოს. მანამ კი თავისი პრინციპული ობიექტური სიტყვა უნდა თქვას დამოუკიდებელმა მასმედიებმა.

მსხვილი მონოპოლიური ბიზნესი, რომელიც ამჟამად მოსახლეობის, ჯანსაღი კონკურენტული ბიზნესისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ყვლეფის ხარჯზე დაუმსახურებლად იღებს მრავალმილიონიან ზემოგებას, იბეგრება საშუალო და მცირე ბიზნესის თანაბრად. ე.ი. გამოდის, რომ იგი აკრძალული კრიმინალური საქმიანობისთვის ჯილდოვდება.

ესაუბრა
ალა ისპირიანი

◎ წიგნი

უპირადო ცხოვრების კაცი

სამსონ თოფურია – ბიოგრაფიული რომანის გმირი

ელგუჯა თავბერიძე ფუტკარივით მშრომელი, მაღალგემოვნებიანი ბრწყინვალე შემოქმედია, მისი დოკუმენტური რომანების სერია ახალი ეპოქის წარმოჩენაა ჩვენს მხარეში, რიკოთს აქეთ „ქვეყანაში“.

დღევანდელ საქართველოს ორი დიდი მწერალ-დოკუმენტალისტი ჰყავს – როსტომ ჩხეიძე და ელგუჯა თავბერიძე. იმას, რასაც როსტომ ჩხეიძე აკეთებს, „ჩუმი ნატვრითაც ვერ ინატრებდა ქართველი“, ამ საოცარმა, ღვთივმაღალმა კალმოსანმა შექმნა ახალი სამყარო – მხატვრულ-დოკუმენტური სახე ეპოქალური უსასრულობისა, საიდანაც ამოხაპა დაკარგვისა და მარადიული მივიწყებისთვის განწირული უმნიშვნელოვანესი ფაქტები და სახეები.

ეს ორი ადამიანი შეფიცულია-მეთქი, ვთქვი ერთ ლიტერატურულ საღამოზე ამას წინათ, ის კი არა, როსტომ ჩხეიძემ, მგონი, რომ შეიფიცა და კალაპოტი გაუჭრა, გეზი განუსაზღვრა ელგუჯა თავბერიძეს ამ უდიდესი საქმის საკეთებლად (ეს ღვაწება ლიტერატურულ ჟანრს გასცდა და საქმე გახდა, გარდაუვლად საკეთებელი საქმე). განა სხვები არ გვყავდნენ ქართველებს მსგავს ჟანრში მომუშავენი, მაგრამ ისინი, შემოდგომის მოსავლით ერთჯერადად ხარობდნენ მხოლოდ და მერმისს, ბედსა და იღბალს მინდობილნი, უხვ, დოვლათიან შემოდგომამდე არ გამოჩნდებოდნენ. ეს დალოცვილები კი, თავად ხნავენ, თესავენ, მარგლავენ, რწყავენ და ალალად, მარჯვე გლეხებივით ლუკმამადლიანად შემოდგომობენ, მათი ჩალისფერი ზვინ-ანწლებიც გასაოცარია და ტყემლისფრად მოთეთრებული გაზაფხულებიც, ბარაქალა, თქვენს ფიქრს, გონსა და შეძლებას, დიდო კალმოსნებო.

თავს რომ ვიწონებდი, თითქოსდა იმდენი რამე ვიცი-მეთქი, თურმე სადა ხარ, ახლად გადამეშალა გაღუდღუდებული ველი ჩვენი ღირსეული მოღვაწეებისა, ადამიანებისა, რომლებმაც საფანელი დაამატეს ქართულ სახელმწიფოებრიობას, განამტკიცეს ენა ქართული და დიდი საბა ორბელიანის კვალისად გაჭრეს გზა ევროპისკენ: ახალი „წიგნის“ შემოსატანად, სწავლა-განათლებისა და მეცნიერების დონის ასამაღლებლად. მათ ქართულ იდეას ჩაუყარეს საფუძველი, ზოგადქართული ცნობიერების ამაღლებითა და ილიასეული გზის ნათელიანობით (დიდი ილიას გზა ჯერ კიდევ ილიას დაბადებამდე არსებობდა ყველა ნამდვილქართველის გულსა და გონში).

უღრმეს მადლობას გწირავთ, ღირსეულო მამულიშვილებო, ჩვენი სვენაღვლიანი სამშობლოს მეგულსიტყვეებო!..

რაც შეეხება ბატონი ელგუჯას დიდებულ რომანს – „ვით უდაბნოში გზააბნეულები“, ახალი კვალია ჩვენს მწირ და ყამირ, ლიტერატურულ-დოკუმენტირებულ სივრცეში. სამსონ თოფურიას სახელი, როგორც პირველი სამკურნალო დაწესებულების დამფუძნებლისა დასავლეთ საქართველოში, კერძოდ კი მხარის ცენტრში – ქუთაისში, როგორ არ გამეგონა, მაგრამ ასე ღრმად, დეტალების ასე მაღალოსტატურად გადმოცემითა და ბიოგრაფიული წიაღსვლებით უდიდესი ინფორმაცია მივიღე და გავნათლდი.

მოდით მივადევნოთ თვალი წიგნის ამ ეპიზოდს, იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდე სამსონ თოფურიას დასაფლავებაზე სიტყვით გამოსვლისას რომ ბრძანებს: „მიცვალებული განგებ არ მოეკიდა ოჯახს, ვერ გაიმეტა თავისი სიყვარულის განაწილება ოჯახსა და საზოგადო საქმეს შორის“. მსგავს მოფერებასა და მართალ სიტყვით მოფინფვლას ბევრი ვინმე არ ღირსებია. „სამსონ თოფურია უპირადო ცხოვრების კაცი იყოო“, – ესეც ეპისკოპოსის სიტყვებია. ხოლო რაც კოლეგებმა და გამორჩეულმა ქართველებმა ჩააყოლეს სიყვარულის დასტურად სამარეში, ცალკე საუბრის თემაა და დიდებულად აქვს მწერალს გადმოცემული.

სამსონ თოფურია გახლდათ სახე პროფესიონალიზმით ამზეკაბანებული პატრიოტი მამულიშვილისა. წარმოშობით სენაკელმა ნიჭიერმა ახალგაზრდამ ჯერ ოდესისა და ხარკოვის უნივერსიტეტებში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში – გერმანიაში, იტალიასა და შვეიცარიაში განათლებამიღებულმა მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა თავის ქვეყანასა და ხალხს შესწირა, როგორც ექიმმა, მენეჯერმა და უანგარო ქველმოქმედმა.

ერთი ინტერვიუ ამომიტივტივდა ცნობიერებიდან, ასევე ცნობილ და სახელმოხვეჭილ დასტაქართან, აწ განსვენებულ ბატონ ფრიდონ თოდუასთან, რომელიც ბრძანებდა, ჩემი მისაბაძი ადამიანი და კოლეგა დიდი სამსონ თოფურია არის, ადამიანი რომელიც გახლდათ არა მარტო დიდი დასტაქარი, არამედ უნიჭიერესი მენეჯერი და საქმის წინამძღოლი. და მე, ფრიდონ თოდუას, მისი საქმის გამგრძელებლად მიმაჩნია ჩემი თავიო.

ნეტავ ბატონი ფრიდონი მოსწრებოდა ამ დიდ ფაქტს, ამ დიდებული წიგნის გამოცემას, უსაზღვროდ გაიხარებდა და თავის წვლილსაც შეიტანდა მისი პოპულარიზაციის საშურ საქმეში.

ნიშნად იმისა, რომ კეთილ კვალს დაკარგვა არ უწერია, უთუოდ გამოჩნდებიან ღირსეული ადამიანები, რომლებიც გაგრძელებენ ამ გზას და რაც მთავარია, ნათელს მოჰფენენ მათ საღვთო ღვაწებასა და სანაქებო საქმეებს.

ბატონმა ელგუჯამ, ცამაღალმა მწერალმა და მოღვაწემ, შეძლო უკვდავი ძეგლის აღმართვა დიდი დასტაქრის, ქველმოქმედისა და საზოგადო მოღვაწის სამსონ თოფურიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უკვდავი საქმისთვის. ე.ი. ამ უჭკვიანესმა შემოქმედმა უწინარესად მამულიშვილური საქმე დააყენა, „საქმემან შენმან გამოგაჩინოს“ – მიდევნებით და არა თუ „მშრალი“ პორტრეტი, არამედ ღვაწება აქცია სახედ ნამდვილქართველობისა და ესაა სწორედ განსაკუთრებულად დასაფასებელი მის შემოქმედებასა და მწერლობაში.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ ჩვენო დიდო, საიმედო და საყვარელო მეგობარო, უი, მეგობრებო, ბატონი როსტომის ასეთ დროს არხსენება ღალატის ტოლფასია. მრავალჟამიერ!

ჩასაფრებული მოლოდინით
ლაშა გვასალია

გვეშველა:

თბილისის გენგეგმა რამდენიმე დღეში იქნება!

26 თებერვალს თბილისის გენგეგმა წარმოდგენილი გვექნება – ამის შესახებ „კომერსანტს“ გენგეგმის თანაავტორმა მერაბ ბოლქვაძემ განუცხადა.

თბილისის გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფს რამდენიმე დღეში ხარვეზების გამოსასწორებლად მერიის მიერ დაწესებული ვადა ეწურება. როგორც აღმოჩნდა, კომპანია „სითი ინსტიტუტ საქართველო“ მერიას ქალაქის გენგეგმის შესწორებულ ვერსიას რამდენიმე დღეში წარუდგენს. როგორც ბოლქვაძე აცხადებს, გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფმა რამდენიმე დეტალზე არსებული ხარვეზები უკვე გამოასწორა.

„მერიამ ხარვეზების გამოსწორება გვთხოვა და დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გენგეგმას 26 თებერვალს გაწერილ ვადაში ჩავაბარებთ.

რაც შეეხება ხარვეზებს, ის კონკრეტულ ზონასთან დაკავშირებულ განმარტებებს შეეხო. ჩვენ ყველაფერი დავასაბუთეთ და თავი ერთად მოვუყარეთ“, – აღნიშნა ბოლქვაძემ.

„კომერსანტის“ კითხვაზე, იყო თუ არა გარკვეული სახის დეტალი, რისი გამოსწორებაც გართულდა? გენგეგმის თანაავტორი გვპასუხობს, რომ **„მსგავსი დეტალი არ ყოფილა. ჩვენ უცხოელ პარტნიორებთან გვაქვს ურთიერთობა და დროის ფაქტორიც სწორედ აქედან გამომდინარეობს. პასუხი ყველაფერზე გვაქვს“,** – განმარტა „კომერსანტთან“ ბოლქვაძემ.

რაც შეეხება იმ ჯარიმას, რომელიც მერიამ კომპანიას დაუწესა, მერაბ ბოლქვაძე აცხადებს, რომ დეტალურად მას ამ თემაზე საუბარი არ შეუძლია, რადგან კონკრეტულ ინფორმაციას არ ფლობს.

2017 წლის დეკემბერში თბილისის მერიამ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტზე მომუშავე ჯგუფი გარკვეული სახის ხარვეზების აღმოჩენის გამო ორჯერ დააჯარიმა. პირველად 5 600-ლარიანი ჯარიმა დაერიცხა, ხოლო მეორედ თანხის ოდენობამ 140 ათასი ლარი შეადგინა.

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობა 2015 წელს დაიწყო. **კომპანია „სითი ინსტიტუტი საქართველო“ მერიის ყოფილმა ხელმძღვანელობამ კონკურსის წესით შეარჩია და ქალაქის მთავარი დოკუმენტის შესაქმნელად 2 800 000 ლარი გამოყო.**

პირობის თანახმად, გენგეგმის ჯგუფს თანხა ჩატარებული სამუშაოების შესაბამისად, ტრანშებად უნდა გადარიცხვოდა. დასრულებული გეგმა კი ქალაქის ჯერ კიდევ ძველ მთავრობას აპრილში უნდა დაემტკიცებინა. თუმცა, მოვლენები საპირისპიროდ განვითარდა.

ლიკა გურაბანიძე

ცვლილებები, რომლებიც საგადასახადო კოდექსში შედის, ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას პასუხობს!

„აღნიშნული ინიციატივა პასუხობს ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას – სწრაფი ეკონომიკური ზრდა, რაც არის ჩვენი მიზანი და ამ პროცესში, მცირე მეწარმეობის ქმედითი წილის ზრდა. ყველა მთავრობა ამბობდა ყოველთვის, რომ ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ნაბიჯი, ცალსახად, ამ მიმართულებით გადადგმული ყველაზე პოზიტიური სიგნალია“, – ამის შესახებ დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარემ რომან კაკულიამ მთავრობის ინიციატივით, საგადასახადო კოდექსში დაგეგმილ ცვლილებებზე საუბრისას განაცხადა. ცვლილებები მცირე ბიზნესის ხელშეწყობას ისახავს მიზნად.

შრომის ინსპექტორების საქმიანობის გასაკონტროლებელი სისტემაც არსებობს

ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის ელზა ჯგერენაიას განცხადებით, შრომის ინსპექტორების საქმიანობის გასაკონტროლებელი მექანიზმები სისტემაში არსებობს.

როგორც ჯგერენაიამ პირველი არხის ეთერში განმარტა, შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონს ახალ ეტაპზე გადაჰყავს შრომითი ურთიერთობები, რომელიც კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე იქნება აგებული.

„რაც შეეხება კადრების გადამზადებას, ამაში მხარს გვიჭერს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. ტრენინგები დღემდე მიმდინარეობს და კადრების კრიზისი ნამდვილად არ იქნება. ამაში ჩართული იქნებიან არა მხოლოდ დამსაქმებელი და საზედამხედველო ორგანოები, არამედ ორგანიზებული შრომის წარმომადგენლები. ეს ფორმატი ხელს შეგვიწყობს, წამოჭრილი მწვავე საკითხები გადაწყდეს“, – განაცხადა ელზა ჯგერენაიამ.

როდემდე გავძლებთ ჰაერში გამოკიდებული?!

თუ ვაშინგტონი კავკასიაში გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლას შეეცდება, მას რუსეთის დომინირებად როლთან დაპირისპირება მოუწევს

ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიაში სერიოზული ინტერესები აძვს, მაგრამ ეს ინტერესები ვაშინგტონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანს არ წარმოადგენს. შეერთებული შტატების მიზნებია: სტაბილურობის შენარჩუნება რეგიონში, „გაყინული“ კონფლიქტების ზონებში სამხედრო მოქმედებების თავიდან აცილება, დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერა და სახელმწიფოს მართვის სისტემის სრულყოფა, აგრეთვე აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ინტეგრირება მსოფლიო თანამეგობრობასთან.

აშშ-ის პოლიტიკური კურსი სამხრეთ კავკასიაში

ბოლო 25 წლის განმავლობაში აშშ-ის მონაწილეობამ სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესებში ხელი შეუწყო შესამჩნევ პოზიტიურ გარდაქმნებს რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში. მაგრამ ზოგიერთი ინიციატივა, რომლებსაც აშშ მხარს უჭერდა, ზედმეტად ამბიციური გამოდგა, რადგან ვაშინგტონმა, ჯერ ერთი რომ რეგიონის ქვეყნების წინაშე მდგარი პრობლემები ჯეროვნად ვერ შეაფასა და მეორე – ადეკვატურ რესურსებს არ ფლობდა.

მომდევნო წლებშიც აშშ-ის სამხრეთ-კავკასიურ პოლიტიკაზე ძველებურად ექნება გავლენა შეზღუდულ რესურსებს და რეგიონში არსებულ არახელსაყრელ პირობებს. ამასთან ვაშინგტონმა უნდა გააგრძელოს თავისი ძალისხმევა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისადმი დასახმარებლად, მათი საშინაო პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ აშშ ვერ შეძლებს რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლას და თუ ამას შეეცდება, მაშინ ვაშინგტონს მოუწევს რუსეთის დომინირებად როლთან დაპირისპირება...

შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიიდან არ უნდა წავიდეს, მაგრამ ვაშინგტონის წარმატება დამოკიდებული იქნება დაბალანსებულ მიდგომაზე – აღებულ ვალდებულებებზე და რეალურ შესაძლებლობებზე. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს სტრუქტურულ გარდაქმნათა ზღვრების ობიექტურ შეფასებას.

აშშ-ის გრძელვადიანი მიდგომა

აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში ხუთ საბაზო პრინციპს უნდა ემყარებოდეს:

1) მთავარი ყურადღება კონფლიქტების თავიდან აცილებას უნდა დავუთმოთ. არ უნდა იქნეს დაშვებული გაყინული კონფლიქტების ესკალაცია და სამხედრო მოქმედებების განახლება. ესაა აშშ-ის პოლიტიკის უპირველესი და უმაღლესი პრიორიტეტი სამხრეთ კავკასიაში;

2) დემოკრატიული ფასეულობების დანერგვის დროს წინდახედულობა უნდა გამოვიჩინოთ. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ დემოკრატიზაციის პროცესს, მაგრამ ერთიანი რეგიონული მიდგომა შესაძლოა, ეფექტური არ აღმოჩნდეს, რადგან აქაური სახელმწიფოები მოძრაობის სხვადასხვა ტრაექტორიაზე იმყოფებიან. ვფიქრობთ, ყველაზე პერსპექტიული იქნება დიფერენცირებული მიდგომა და თითოეული ქვეყნის განვითარების სპეციფიკის გათვალისწინება;

3) არ უნდა დავუშვათ ზედმეტი იმედები და მოლოდინები რეგიონის ქვეყნებისათვის. უნდა გვახსოვდეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიაში, რუსეთთან შედარებით, უფრო ნაკლები გეოპოლიტიკური პოზიციები აქვს. ვაშინგტონმა არ უნდა აღუთქვას რეგიონის ქვეყნებს ისეთი დახმარება მოსკოვის გავლენის საწინააღმდეგოდ, რასაც აშშ რეალურად ვერ განახორციელებს. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს და მის სწრაფვას ნატოში გაწევრებისაკენ.

4) უნდა დავტოვოთ ადგილი ევროკავშირის ქვეყნების მონაწილეობისთვისაც. აშშ-ის მიზანია რეგიონის ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა, კანონის უზენაესობა და სხვა რეფორმების გატარება, მაგრამ ვაშინგტონისთვის უმჯობესი იქნება თავისი ძალისხმევა ევროკავშირთან კოორდინირებით განახორციელოს;

5) რეალურად უნდა შეფასდეს რეგიონის სათბობ-ენერგეტიკული პოტენციალი და მისი როლი. წინა პერიოდში კასპიის ზღვის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მნიშვნელობა რეგიონის ქვეყნებისათვის ზედმეტ მოლოდინებს აჩენდა. ასეთი მიდგომები გადასასინჯია.

> **რადგანაც არც ერთი მხარე არ აპირებდა გაცხადებული პოზიციიდან უკან დახევას, საქართველო „ჰაერში გამოკიდებული“ დარჩა: ერთი მხრივ, თბილისი ინარჩუნებდა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი ერთგულებას და მას მუდამ ეუბნებოდნენ, ნატოს კარი მისთვის ღიაა და მიღების საკითხი კვლავ განიხილებაო, მეორე მხრივ კი, ალიანსში მისი გაწევრების შანსი უახლოეს მომავალში, პრაქტიკულად, ნულოვანი იყო.**

საქართველო აშშ-ის პოლიტიკაში

2000-იანი წლების დასაწყისში, როცა აზერბაიჯანში (და სომხეთშიც) დემოკრატიული ცვლილებები საეჭვო გახდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორიენტირები შეცვალა და მეტი ყურადღება საქართველოს დაუთმო. საქართველო მიისწრაფვოდა იმ გზით ევლო, რომელიც პოლონეთმა, რუმინეთმა და ბალტიის რესპუბლიკებმა გაკვალეს. საქართველოს „რუსული ორბიტიდან“ გამოსვლა სურდა, ამიტომ რეფორმების გატარება დაიწყო, ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანების იმედით.

საბოლოო ჯამში, საქართველო აშშ-ის ფავორიტი სახელმწიფო გახდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, რომელიც თავისი მეზობლებისგან სულ უფრო განსხვავდებოდა: აზერბაიჯანში ილჰამ ალიევი საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებით იყო დაკავებული, სომხეთში კი დემოკრატიული გარდაქმნები პრაქტიკულად შეჩერდა. იგივე ხდებოდა კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა რეგიონში – ცენტრალურ აზიაშიც... ასეთ სიტუაციაში, ვაშინგტონის აზრით, საქართველო ერთადერთი ქვეყანა იყო მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, რომელიც წინ სწორი მიმართულებით მიდიოდა. საქართველო შეერთებული შტატებისთვის საყვარელ ქვეყნად იქცა, რუსეთს კი პირიქით, თვალში ეკალივით ესობოდა. აშშ-ის იმდროინდელი პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ-უმცროსი მიიჩნევდა, რომ საქართველო ევროატლანტიკური ინტეგრაციის – „თავისუფლების სტრატეგიის“ მტკიცე მომხრე იყო, თუმცა სულ სხვაგვარად ფიქრობდა რუსეთი: მოსკოვის აზრით, საქართველოს ინტეგრაციის პროცესი დასავლურ სტრუქტურებში უნდა შეჩერებულიყო, განსაკუთრებით ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების კონტექსტში. მიუნჰენის უსაფრთხოების მაშინდელ კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტმა აშკარად გააფრთხილა ალიანსი, რუსეთის საზღვრებს არ მიახლოებოდა და ახალი წევრები არ მიეღო. რამდენადაც საქართველო ყველაზე პოტენციური კანდიდატი იყო ნატოში მისაღებად, აშკარა იყო, რომელი სახელმწიფო იგულისხმა ვლადიმერ პუტინმა.

ევროატლანტიკური ექსპანსიისადმი რუსეთის დაპირისპირების უმაღლესი მომენტი გახდა 2008 წლის აგვისტო, როცა რუსეთის არმიამ, სწრაფი სამხედრო მოქმედების შედეგად, საქართველოს ჯარები დაამარცხა. რუსეთ-საქართველოს ომი გახდა აშშ-ის პოლიტიკის ევოლუციისა და მისი „შემობრუნების პუნქტი“ არა მხოლოდ საქართველოს მიმართ, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის მიმართაც. კრემლის მიერ განხორციელებულმა სამხედრო აქციამ აჩვენა, რომ რუსეთი უკვე აღარ მოითმენს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გავლენის გაძლიერებას თავის საზღვრებთან ახლოს და რომ ამიერიდან, რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ნატოში გაწევრებას რუსეთი აღარ დაუშვებს. კრემლმა ასევე მიანიშნა, რომ მზადაა, ისევ ძალა გამოიყენოს, თუ რომელიმე მისი უშუალო მეზობელი რუსეთის გავლენის სფეროდან გასვლას შეეცდება. ფაქტია, რომ აშშ და მისი მოკავშირეები მზად არ იყვნენ რუსეთთან საომრად, ნატოს აღმოსავლური ექსპანსიასთან დაკავშირებით, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების გამო.

რადგანაც არც ერთი მხარე არ აპირებდა გაცხადებული პოზიციიდან უკან დახევას, საქართველო „ჰაერში გამოკიდებული“ დარჩა: ერთი მხრივ, თბილისი ინარჩუნებდა ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი ერთგულებას და მას მუდამ ეუბნებოდნენ, ნატოს კარი მისთვის ღიაა და მიღების საკითხი კვლავ განიხილებაო, მეორე მხრივ კი, ალიანსში მისი გაწევრების შანსი უახლოეს მომავალში, პრაქტიკულად, ნულოვანი იყო.

აშშ-ის პოლიტიკის ასეთი აშკარა ჩიხის გამო სამხრეთ კავკასიამ ვაშინგტონისთვის ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგა: აზერბაიჯანთან ურთიერთობა გართულდა ილჰამ ალიევის ავტორიტარული მმართველობის გამო, ხოლო სომხეთი, რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობის გამო, ამერიკისთვის დასაყრდენად ვერ გამოდგებოდა. საქართველოსთან ურთიერთობა დამუხრუჭდა იმდენად, რამდენადაც ვაშინგტონს არ სურდა რუსეთთან კონფრონტაციაზე წასვლა საქართველოს ნატოში გაწევრების სურვილის გამო.

ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში იმპულსის შესუსტებამ მოამზადა ნიადაგი, რომ სამხრეთ კავკასიაში დასავლელი პოლიტიკური ლიდერის როლი აშშ-დან ევროკავშირზე გადასულიყო. ევროკავშირის პოლიტიკის ძირითადი იუნსტრუმენტი ამ რეგიონში გახდა ასოცირების შეთანხმება, რომელიც იმ ქვეყნებს, რომლებიც მას ხელს აწერენ, ევროკავშირში გაწევრებას არ პირდება, მაგრამ ხელს უწყობს მათ უფრო მჭიდრო ეკონომიკურ ინტეგრირებას და პოლიტიკურ კავშირებს ევროკავშირთან, რეფორმების გატარების სანაცვლოდ. ასოცირების შეთანხმებისადმი ყველაზე მეტ ყურადღებას საქართველო და სომხეთი იჩენდნენ, აზერბაიჯანი კი გულგრილად უყურებდა.

2008 წლის საქართველო-რუსეთის კონფლიქტის შემდგომ აშშ-ის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში გამოიხატებოდა სტატუს-კვოს შენარჩუნებაში და არა რაიმე მნიშვნელოვანი „გარღვევითი“ ქმედებით. წარუმატებელი გამოდგა ვაშინგტონის დიპლომატიური ინიციატივა სომხეთ-თურქეთის შერიგების თაობაზე (ე.წ. „ციურიხის ოქმები“). ამის შემდეგ აშშ-მა მთავარი ყურადღება დაუთმო ახალი კონფლიქტის თავიდან აცილებას თბილისსა და მოსკოვს შორის, სომხეთ-აზერბაიჯანის დიალოგის გაგრძელებას ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით, საქართველოსადმი დახმარების გაწევას ახალი ხელისუფლების პირობებში (მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის შემდგომ პერიოდში), აზერბაიჯანელი მოსახლეობის დახმარებას სულ უფრო ავტორიტარულ რეჟიმთან ურთიერთობაში და რეგიონში მეტნაკლებად ყოფნის შენარჩუნებას, რომელიც ავღანეთის სამხედრო მოქმედებათა თეატრთან კავშირს უზრუნველყოფდა.

დასკვნა

ამერიკის შეერთებულ შტატებს სამხრეთ კავკასიაში სერიოზული ინტერესები აქვს, მაგრამ მათგან არც ერთი არ ითვლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად. შეერთებულმა შტატებმა რეგიონის ქვეყნებთან აქტიური კონტაქტები უნდა შეინარჩუნოს, მხარი უნდა დაუჭიროს საშინაო პოლიტიკურ გარდაქმნებს და მათ ინტეგრაციას საერთაშორისო თანამეგობრობასთან. სამივე სახელმწიფოს აქვს საკუთარი საშინაო და საგარეო პრობლემები. ყველა შემთხვევაში მათი გადაჭრა უნდა მოხდეს უფრო ევოლუციური, ვიდრე რევოლუციური გზით. ამიტომაც აშშ-ის პოლიტიკა რეგიონში გამიზნული უნდა იყოს ტრასფორმაციული პროექტების ძიებისა და მათი რეალიზებისათვის და არა მათი მხარდაჭერისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში.

აშშ-ის მცდელობებმა რეგიონში სერიოზული ცვლილებების ინიცირების მიზნით ,მოლოდინები არ გაამართლა და საეჭვოა, მომავალში ახალი მცდელობებიც წარმატებული იყოს. პრინციპი „ნელა იარე და უფრო მეტს მიაღწევ“ ოპტიმალური რჩება და სავსებით შეესაბამება როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების მდგომარეობას, მათ მოთხოვნებს, ასევე აშშ-ის ინტერესებს რეგიონში.

ევგენი რუმერი,
რიჩარდ სოკოლსკი,
პაულ სტრონსკი
„Carnegie Center“ (აშშ)

სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა დასრულდა,

ის საქართველოში პარანოიდალური და ავტორიტარული მართვის სტილით ხასიათდებოდა

„მიხეილ სააკაშვილის უკრაინიდან გაძევებით მისი როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი ადამიანის პოლიტიკური კარიერა დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელ მომენტში ასე ჩანს“, — წერს ფრანკ ჰაროლდი გერმანულ გაზეთ Tagesspiegel-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომელშიც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და უკრაინის ოდესის ოლქის ექსგუბერნატორის პოლიტიკური საქმიანობაა განხილული.

მიხეილ სააკაშვილი, რომელიც უკრაინაში ოთხი წლის წინათ ჩავიდა, თავდაპირველად პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მოკავშირედ ითვლებოდა, შემდეგ მის გაბოროტებულ მოწინააღმდეგედ იქცა. 15 წლის წინათ, თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისში, ნიხეილ სააკაშვილი „ვარდების რევოლუციის“ გმირი იყო. იგი ის სახალხო ტრიბუნი გეგონებოდათ, რომელიც ხელისუფლებაში იმიტომ მოვიდა, რომ სრულიად კორუმპირებული და კოლაფსის წინაშე მდგარი საქართველო თანამედროვე სახელმწიფოდ გადაექცია. მით უმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილი დასავლეთის მოკავშირეს, დასავლური დემოკრატიის მხარდამჭერს და ფასეულობების ერთგულ ადამიანს წარმოადგენდა. იგი წინააღმდეგობას უწევდა თავის მეზობლის ვლადიმერ პუტინის ნეოიმპერიულ ამბიციებს — ზოგჯერ ვაუკაცურად, ზოგჯერ კი დიდგულად და ყოყოჩურად — ისე, როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტში, სამხრეთ ოსეთის გამო.

მიხეილ სააკაშვილის როგორც იმედის მომცემი გმირის სახე, დროთა განმავლობაში თანდათან გაფერმკრთალდა. მისი სუბიექტური სისუსტეები, რომელთაგან პატივმოყვარეობა ყველაზე უფრო ადვილად მისატევებელი იყო, თანდათან უკიდეგანო ხდებოდა. პრეზიდენტი თანდათან ამჟღავნებდა პარანოიდალურ და ავტორიტარული მართვის სტილს. მან არაერთხელ დაარბია მიტინგები და საგანგებო მდგომარეობა შემოიღო. ერთი სიტყვით, „დემოკრატი“ მიხეილ სააკაშვილის ქცევა დიდად არ განსხვავდებოდა რეგიონის დესპოტი მმართველების ქცევისაგან. საქართველოში გააცნობიერეს, თუ რა საფრთხის მომტანია სახელმწიფოს გაძლიერება დემოკრატიული ტრადიციების გარეშე: როცა დემოკრატია და სახელმწიფო (ხელისუფლება) ერთმანეთთან კონფლიქტს იწყებენ, მაშინ ხელისუფლება უპირველესად საკუთარ ინტერესებს იცავს და დემოკრატიის სასარგებლოდ არჩევანს ძალიან იშვიათად აკეთებს. მართალია, მიხეილ სააკაშვილი საბოლოო ჟამს იძულებული გახდა, ობიექტური არჩევნები ჩაეტარებინა და ხელისუფლებიდან მაშინ წასულიყო, როცა მას პრეზიდენტობის ვადა დაუმთავრდა. ახალმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, და სასამართლომ (ზოგიერთი პროცესს საეჭვოდ მიიჩნევს) მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა დაუსწრებლად.

უკრაინაში გაჟღერებული ხმამაღალი განცხადებების წყალობით, რომ კორუფციისა და ოლიგარქების წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლას ვიწყებო, მიხეილ სააკაშვილმა თავის ირგვლივ პოლიტიკოსები შემოიკრიბა. პეტრო პოროშენკომ, ოლიგარქმა, რომელიც უკრაინის პრეზიდენტი გახდა, ქართველ პოლიტიკოსს უკრაინის მოქალაქეობა მიანიჭა და ოდესის ოლქის გუბერნატორად დანიშნა, თუმცა შავიზღვისპირა რეგიონში მიხეილ სააკაშვილმა ფიასკო განიცადა. იგი თანამდებობიდან გადადგა და თავის წარუმატებლობაში ბრალი პრეზიდენტს და მთავრობას დასდო, დაიწყო მათი მწვავე კრიტიკა. ასეთმა მოქმედებამ მიხეილ სააკაშვილს მოსახლეობის ნაწილის სიმპათიები მოუტანა.

მაგრამ კიევში, რომელშიც თითქმის 3 მილიონამდე მცხოვრებია, მიხეილ სააკაშვილის საპროტესტო აქციებზე არასდროს არ მისულა ორიოდე ათასზე მეტი ადამიანი. სულ ბოლო ანტისამთავრობო დემონსტრაციაზე, რომელიც კვირას გაიმართა, დიდი-დიდი, 2,5 ათასამდე კიეველი თუ მონაწილეობდა.

„ნიუსპრესი“
„DER TAGESSPIEGEL“ (გერმანია)



თურქეთ-ამერიკის კრიზისი: გამოწვევა თუ შანსი საქართველოსთვის?!

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და თურქეთს შორის ურთიერთობა კრიტიკულად დაიძაბა. უთანხმოება სირიაში ორი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგობას მოჰყვა. ამერიკის სახელმწიფო მდივანი თურქ კოლეგას და თურქეთის პრეზიდენტს ანკარაში შეხვდა, თუმცა რამდენიმესაათიანი დიალოგი კონკრეტული გადაწყვეტილებების გარეშე დასრულდა.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამერიკა-თურქეთის ურთიერთობების განვითარება საქართველოზეც მოახდენს გავლენას. ექსპერტების ნაწილი რუსეთის გავლენის გაძლიერების ალბათობაზე საუბრობს, ნაწილი კი პირიქით — საქართველოს პოზიციების განმტკიცებას ვარაუდობს.

„ამერიკისთვის საქართველო და თურქეთი მსგავს როლს თამაშობს... ამერიკისთვის ორივე ქვეყანა მთავარი პარტნიორია. შესაძლებელია, ვიხილოთ საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა მივა დასკვნამდე, რომ თურქეთი არ არის საიმედო პარტნიორი და ვერ ხერხდება მისი ზოგიერთ საკითხზე დაყოლიება. ამ შემთხვევაში ვაშინგტონი შესაძლოა, საქართველოსკენ უფრო მეტად შეტრიალდეს“, — ამბობს ასისტენტ-პროფესორი **ლისელ ჰინცი** ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტიდან. იგი ფიქრობს, რომ ამერიკასა და თურქეთს შორის ურთიერთობის დაძაბვამ საქართველოსთვის, შესაძლოა, ვაშინგტონთან უფრო მეტად დაახლოების შესაძლებლობა გააჩინოს.

ამერიკის სახელმწიფო მდივნის რექს ტილერსონის თურქეთში ვიზიტი ორ ქვეყანას შორის ბოლო პერიოდში დაძაბული ურთიერთობის განმუხტვის მცდელობაა. ურთიერთობის ჩიხში შესვლა, ერთი მხრივ, ვაშინგტონსა და ანკარას შორის სირიაში ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვია. თურქეთმა სირიის ქურთული დაჯგუფების „სახალხო დაცვის ერთეულის“ (YPG) წინააღმდეგ აფრინის პროვიციაში ოპერაცია ჩაატარა. დაჯგუფებას ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატები უჭერს მხარს.

ანკარის განცხადებით, YPG თურქეთის შიგნით ტერორისტულ ორგანიზაცია ქურთისტანის მუშათა პარტიას (PKK) ეხმარება. ორი ქვეყნის ძალები შესაძლოა, ერთმანეთთან საბრძოლო კონტაქტში აღმოჩნდნენ, თუ ანკარა სირიაში მის ოპერაციას ქალაქ მანბიჯამდე გააფართოვებს, სადაც ქურთულ შენაერთებთან ერთად ამერიკის შეიარაღებული ძალებიც იმყოფებიან.

თუ ნატოს წევრ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური დაპირისპირება ბრძოლის ველზე გადაინაცვლებს, მაშინ ეს არა მხოლოდ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე, არამედ, სავარაუდოდ, საქართველოზეც იქონიებს გავლენას. ეს კი, „დემოკრატიის დაცვის ფონდის“ მკვლევარის აიკან ერდემირის აზრით, ამერიკასთან დაშორების შემთხვევაში, თურქეთის რუსეთთან დაახლოების ბუნებრივი შედეგი იქნება.

„ამერიკა-თურქეთის ურთიერთობის ეროზიას საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკისთვის, შესაძლოა, საზიანო შედეგები მოჰყვეს. ამ შემთხვევაში თურქეთი რუსეთის ღერძისკენ გადაიხრება. რუსეთის გავლენის ზრდა თურქეთზე გაზრდის რუსეთის ბერკეტებს საქართველოზეც. მე ვფიქრობ, თურქეთ-ამერიკის და თურქეთ-ნატოს ურთიერთობების გაუმჯობესება საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანია“, — ამბობს **აიკან ერდემირი**.

უთანხმოების კიდევ ერთი მიზეზი ანკარის მიერ ამერიკის რამდენიმე მოქალაქის და საელჩოს თანამშრომლების დაკავება გახდა. ამასთან ერთად, თურქეთი ამერიკისგან მოითხოვს ამერიკაში მცხოვრებ თურქი რელიგიური ლიდერის ფეთჰულაჰ გიულენის გადაცემას, რომელსაც თურქეთი 2016 წლის გადატრიალების მოწყობის მცდელობაში სდებს ბრალს.

სტრატეგიული თვალსაზრისით, ამერიკის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკისთვის საქართველოს არა აქვს ისეთი მნიშვნელობა, როგორც თურქეთს, თუმცა, თურქეთთან ურთიერთობების გაცივების კვალობაზე, საქართველო ვაშინგტონმა შეიძლება უფრო საიმედო პარტნიორად განიხილოს. **„მართალია, თურქეთისაგან განსხვავებით, საქართველოს არ აქვს საზღვარი სირიასთან, ერაყთან და ირანთან, მაგრამ საქართველო ამერიკისთვის რუსეთის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი მოთამაშეა. ამ ნაწილში თურქეთი საქართველოსგან განსხვავდება, რადგან თურქეთი რუსეთთან გარკვეულწილად თანამშრომლობს... ამერიკამ შესაძლოა, განიხილოს საქართველო, როგორც უფრო სანდო პარტნიორი, რადგან ვიცით, რომ საქართველო რუსეთისკენ უახლოეს მომავალში არ შეტრიალდება“,** — ამბობს **ლისელ ჰინცი**.

მიმომხილველთა ნაწილი ფიქრობს, რომ ანტიამერიკული განცხადებები და ნაციონალისტური ტალღა რეჯეპ ერდოღანს მხარდაჭერის შენარჩუნებაში ეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები 1970-იან წლებშიც დაიძაბა, თურქეთის კვიპროსში შეჭრის შემდეგ, ეს უკანასკნელი კრიზისული მდგომარეობა თურქეთისა და ამერიკის ურთიერთობებისთვის აქამდე არნახული, მნიშვნელოვანი ტესტია.

„RADIO VOICE OF AMERICA“ (აშშ)

ევროპაში წითელას გავრცელების შემთხვევები გაიზარდა

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (zHO) ცნობით, ევროპაში წითელას გავრცელების შემთხვევები გაიზარდა. როგორც ორგანიზაციაში განმარტავენ, წითელათი ინფიცირების რიცხვის გაზრდა ვაქცინაციისგან თავის არიდებამ გამოიწვია.

აღსანიშნავია,რომ წელს, წითელათი სულ 20 000-მდე ადამიანი დაინფიცირდა, მათგან 35 შემთხვევა კი ფატალურად დასრულდა. წითელათი ინფიცირებულთა რიცხვი იზრდება საქართველოშიც.

დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ 1 იანვრიდან დღემდე ინფიცირებულთა რიცხვმა 300 გადაჭარბა. ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, ყველაზე მეტი შემთხვევა აჭარაში ფიქსირდება.

დაავადებას 100-პროცენტიანი გადამდებლობა ახასიათებს, ამიტომაც, ცენტრი 14 წლამდე აუცრელი ბავშვების მშობლებსა და 40 წლამდე ასაკის იმ მოქალაქეებისთვისაც, რომელთაც დაავადება გადატანილი არ აქვთ, სასწრაფო იმუნიზაციისკენ მოუწოდებენ. ცნობისთვის, დაავადება მაღალი ტემპერატურით, ხველითა და თავის ტკივილით იწყება, სადიაგნოსტიკო გამონაყარი უკვე თავს იჩენს მეხუთე -მეექვსე დღეს.

◎ კალათბურთი

ილიას ზუროსის თორმეტი რჩეული

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ავსტრიაში გამგზავრებამდე ბოლო ვარჯიში სპორტის სასახლეში გამართა. მის დაწყებამდე პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები „ჯვაროსნებს“ შეხვდნენ, ხოლო დასრულების შემდეგ მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ის 12 კალათბურთელი დაასახელა, რომლებიც ნაკრებს ავსტრიაში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩში სათამაშოდ გაჰყვა.

საღამოს ვარჯიშში მონაწილეობა 17-მა კალათბურთელმა მიიღო და ის საკმაოდ პროდუქტიული გახლდათ. როგორც დილით, ბერძენმა სპეციალისტმა ამჯერადაც კომბინაციებზე გააკეთა აქცენტი და 2 საათის განმავლობაში ნაკრების წევრებმა არაერთი დაცვა-შეტევითი სიტუაცია დაამუშავეს.

მოთელვის დაწყებამდე ჩვენებურთა თავკაცმა ვიდეო-განხილვა ჩაატარა და ბიჭებს აჩვენა, თუ როგორ აჯობებს კომბინაციების გათამაშება. მწვრთნელმა მოთამაშეებს ფირზე დაანახა, თუ როგორ უნდა იმოქმედონ და შემდეგ ამ დავალებების შესრულება პრაქტიკულად მოსთხოვა.

სპორტის სასახლეში მივიდა და პარტნიორებს წარმატებები უსურვა დუდა სანაძემ, რომელიც მყესებზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ სარეაბილიტაციო კურსს გადის და საკვალიფიკაციოს მესამე ფანჯრისთვის, ზაფხულში, მწყობრში იქნება.

ვარჯიშის დამთავრების შემდეგ ბერძენმა სპეციალისტმა საავსტრიო შემადგენლობა დაასახელა. 12 რჩეულში მოხვდა ნაკრებში პირველად გამოძახებული რუსთაველი მსროლელი რეზო ჩაჩანიძე, ხოლო სრულ შემადგენლობას ქვემოთ წარმოდგენილ სიაში გაეცნობით: **გიორგი ცინცაძე (პოლიტექნიკა, რუმინეთი), მაიკლ დიქსონი (ბაჰჩეშეჰირი, თურქეთი,), გოგა ბითაძე (მეგა ბიმაქსი, სერბეთი), ილია ლონდარიძე (დინამო), მიხეილ ბერიშვილი (დინამო), ანატოლი ბოისა (კაქტუსი), მერაბ ბოქოლიშვილი (ოლიმპი), ნიკა დარბაიძე (ოლიმპი), ნიკა ცქიტიშვილი (ბიბლოსი, ლიბანი), ლევან ფაცაცია (მარნეული), აკაკი დვალიშვილი (ქუთაისი), რეზო ჩაჩანიძე (რუსთავი).**

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

ნაბიჯი უკან

საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილი დელრეი ბიჩის ტურნირის პირველ წრეში ამერიკელ სტივ ჯონსონთან 3:6, 4:6 დამარცხდა. ჩვენებურმა მეტოქეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია და ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო.

იგი მსოფლიო რეიტინგში 77-ე პოზიციამდე დაქვეთდა და, როგორც ჩანს, რეგრესს კიდევ განაგრძობს.

კოგა კოგახიძე

◎ პიონჩანი – 2018

კანადელთა მიღწევები



პიონჩანის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე ფიგურულ სრიალში ტესა ვირჩუსა და სკოტ მოირის კანადურმა წყვილმა სპორტულ ცეკვებში მოკლე და თავისუფალი პროგრამების ჯამში დაგროვილი 206,07 ქულით მსოფლიოს რეკორდი დაამაყარა. ასევე რეკორდული აღმოჩნდა ამ დუეტის მიერ ოლიმპიადებზე მოპოვებული მედლების რაოდენობაც. ვანკუვერის ოქროს, სოჭის ორი ვერცხლის, პიონჩანში გუნდურში და ახლა უკვე სპორტულ ცეკვებში მოპოვებული უმაღლესი სინჯის ჯილდოებით ოკეანისგაღმელები თამაშების ისტორიაში ამ სახეობის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენები გახდნენ.

„განსაკუთრებული მომენტი იყო. ძლიერი დასკვნითი ჯგუფი გვყავდა. დიდ წნეხს განვიცდიდით, მაგრამ ჩვენი ასპარეზობით ბედნიერები ვართ“ – ამბობს ვირჩუ.

საინტერესოა ისიც, რომ ვირჩუსა და მოირის სარეკორდო და საჩემპიონო ასპარეზობას წინ უძღოდა ოლიმპიადის დებიუტანტი ფრანგების – გაბრიელა პაპადაკისისა და გიიომ სიზერნის მიერ თავისუფალში (123,35) და შემდგომ უკვე ორივე პროგრამის ჯამში (205,28) დამყარებული თავიანთივე მსოფლიო მიღწევების გაუმჯობესება. ისინი საბოლოოდ ვერცხლის მედალოსნები გახდნენ.

ფიგურულ სრიალში ტესა ვირჩუსა და სკოტ მოირის აღნიშნულ ტრიუმფამდე სამი ოქრო მოპოვებული ჰქონდათ შვედ ილის გრაფსტრიომს, ნორვეგიელ სონია ჰენის და ყოფილი სსრკ-ს წარმომადგენელს ირინა როდნინას, ხოლო ჯილდოთა საერთო რაოდენობით გამოირჩეოდნენ გრაფსტრიომი და რუსი ევგენი პლიუშჩენკო, რომლებმაც ოთხ-ოთხ მედალს მოუყარეს თავი.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ჩავიდა, ნახა, გაიტანა

ლონდონის „ჩელსი“ იმ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, ჩემპიონთა ლიგაში „ბარსელონასთან“ ბრძოლებში დადებითი ბალანსი რომ აქვს. გუუს ჰიდინკი, ჟოზე მაურინიუ და რობერტო დი მატეო ის მწვრთნელები არიან, რომლებმაც „არისტოკრატებს“ მრისხანე მეტოქესთან უპირატესობა მოუპოვეს.

„სტემფორდ ბრიჯის“ ბინადრებთან საკუთარი ანგარიშები ჰქონდა კატალონიელთა ლიდერ ლეო მესისაც, ვისაც განვლილ 8 შეხვედრაში მათთვის გოლი არ ჰქონდა გატანილი.

არგენტინელმა ჯადოქარმა ნავსი მეცხრე ცდიდან გატეხა, როცა კრისტენსენის უხეში შეცდომით ისარგებლა და ინიესტას საფირმო გადაცემით ანგარიში გაათანაბრა – 1:1. ეს იყო სტუმართა ერთადერთი ზუსტი დარტყმა მთელი მატჩის განმავლობაში.

გუნდების სასტარტო შემადგენლობების გაცნობისას ყურადღება ანტონიო კონტეს შერჩეულმა ერთი შეხედვით ფრთხილმა ტაქტიკამ მიიქცია, რომელმაც სათადარიგოთა სკამზე დატოვა როგორც მორატა, ისე ჟირუ და ნდობა ამჯერად წინა ხაზზე გამწესებულ აზარს გამოუცხადა.

როგორც აღმოჩნდა, ეს ოპტიმალური გადაწყვეტილება ყოფილა – მართალია, ტრადიციისამებრ, ბურთს უმეტესწილად ერნესტო ვალვერდეს გუნდი აკონტროლებდა, მაგრამ ხიფათს მოწინააღმდეგეს მასპინძლები უქმნიდნენ. საილუსტრაციოდ შესანიშნავად მოთამაშე ვილიანის შორეული გასროლები გამოდგება, როცა ორჯერ ბურთი ტერ შტეგენის კარის ძელმა მოიგერია. ასე რომ, სავსებით ლოგიკური გახლდათ, ანგარიში მისი მესამე ჩხვლეტის შემდეგ რომ გაიხსნა...

მოკლედ, 14 მარტისთვის დანიშნული საპასუხო მერვედფინალური რაუნდის წინ „ბლაუგრანას“ შანსები ერთი-ორად გაიზარდა, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ფავორიტის სტატუსის გასამართლებლად მას კიდევ ერთი მძაფრი ჯახის გადატანა მოუწევს.

„ბაიერნი“ – „ბეშიქთაში“ 5:0
(პირველი ტაიმი – 1:0)

გოლები: მიულერი – 2, ლევანდოვსკი – 2, კომანი.

გიორგი ზოთაძე

◎ ადამიანი დროში

მითხარი, საიდან არის წარმოშობით ადამიანი და გეტყვი, როგორი პიროვნებაა იგი.

ცნობილი გამოთქმის პერიფრაზს თუ მივმართავთ, ნოდარ რეხვიაშვილს ვერაფერს დაუწუნებ – რაჭის მაღალმთიან სოფელ ჭიორაში დარწეული აკვანი მისთვის ერთგვარ ცხოვრებისეულ გზამკვლევად იქცა, რომელსაც, აგერ უკვე 65 წელიწადია, ღირსეულად მიუყვება.

ჩვენი მეგობარი ნოდარი

დედაქალაქის სპორტინტერნატში დაოსტატებულმა ფალავანმა, შემდგომში რესპუბლიკის ჩემპიონმა და სხვადასხვა რანგის ტურნირების გამარჯვებულმა წარმატებებს გემო სამშობლოშიც გაუსინჯა და უკრაინაშიც, სადაც სამხედრო-სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს. მოგვიანებით მაშინდელი წრთობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოადგა, ხოლო შემდეგ – თავდაცვის სამინისტროს სისტემაში პასუხსაგებ თანამდებობებზე მოღვაწეობისას, როცა ყველასათვის გაჭირვების ტალკვესს წარმოადგენდა.

ალბათ, ერთეულებმა თუ იციან, რომ ჩვენი ძვირფასი მეგობარი ერთ დროს სახვით ხელოვნებაში საკავშირო ფესტივალის ლაურეატი გახდა, ამიტომ არ გვიკვირს, მის სტუმართმოყვარე ოჯახში მისულთ, ახალ-ახალი ფერწერული ტილოებითაც რომ გვიმასპინძლდება.

სხვათა შორის, ფუნჯსაც უნდა ვუმადლოდეთ, ვაუკაცურად რომ გაუმკლავდა უძლიერეს ფსიქოლოგიურ დარტყმას – საყვარელი მეუღლის, აღიარებული ფსიქოლოგის, ქალბატონ თამარ ბაკურაძის დაკარგვას.

ბატონო ნოდარ! გილოცავთ დაბადების დღეს და გისურვებთ, კიდევ დიდხანს ეხაროს თქვენს მიერ ჩაყრილ სიკეთის ნერგს.

გია პლატონიშვილი

◎ ინტერნეტიდან

სამსახურმა დაღალა

ლეგენდარული ესპანელი გოლკიპერის იკერ კასილასის მეუღლე სარა კარბონერო, როგორც იცით, ამჟამად მოქმედი და ესპანეთში კარგად ცნობილი ტელეჟურნალისტია, რომელიც რა გასაკვირია, რომ სპორტული პროფილით მუშაობს და მრავალ სახეობაში ძალიან კარგად ერკვევა.

მისი სახელი ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი, სანამ იკერზე გათხოვდებოდა და მუდამ იძახდა, რომ თავისი საქმე ფანატიკურად უყვარდა, თუმცა, როგორც ჩანს, ადამიანი ბოლოს მაინც ყველაფერით იღლება და ამ ჩვენს კოლეგასაც, ალბათ, ასე მოუვიდა.

რამდენიმე დღის წინათ იკერ კასილასის ტურფამ განაცხადა, რომ გადაწყვიტა ცოტა ხნით საერთოდ დაანებოს თავი აქტიურ ჟურნალისტიკას და ყველაფრისგან დაისვენოს. სარას თქმით, იგი უბრალოდ დაღალა ჰიპერაქტიურმა ცხოვრების წესმა და არც იმ ასაკშია, რომ მუდმივად მუშაობა სიამოვნებდეს. ასე რომ, აწი ჩვენს იკერს ცოლთან ყოფნისათვის მეტი დრო დარჩება და სიამტკბილობა თქვენ მერე უნდა ნახოთ...

როსტომ რაჭველიშვილი

მაქსიმალურად ვმუშაობთ, რომ ყველა მასწავლებლის ხელფასი გაიზარდოს!

ჩვენ მაქსიმალურად ვმუშაობთ, რომ მივაღწიოთ ამ მიზანს საკმაოდ მოკლე ვადებში, რომ ყველა მასწავლებლის ხელფასი გაიზარდოს, — ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა მიხეილ ჩხენკელმა განაცხადა.

მინისტრი გამოეხმაურა საკითხს, რომ პედაგოგები მხოლოდ წამყვანი და მენტორი მასწავლებლებისთვის ხელფასების მომატების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ და აღნიშნა, რომ წამყვანმა და მენტორმა მასწავლებლებმა მიაღწიეს ამ დონეს, მათ შეასრულეს საკმაოდ დიდი სამუშაო და ხდება მათი წახალისება.

„საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ყველას აქვს შანსი, რომ გახდეს წამყვანი და შემდგომ მენტორი მასწავლებელი. ასე რომ, ხელფასების მატება პირდაპირ შეეხო ამჟამად წამყვან და მენტორ მასწავლებლებს, მაგრამ გვინდა, რომ წავახალისოთ მასწავლებელი, რათა გადავიდეს შემდგომ საფეხურზე, რომ მან აიმაღლოს კვალიფიკაცია, შესაბამისად, ეს მათთვისაც არის სტიმული, რომ მიაღწიონ ამ საფეხურს. მინდა გითხრათ, რომ ზოგადად, მასწავლებლის ანაზღაურების საკითხი ძალიან სერიოზული თემაა და ჩემი პირადი აზრია, რომ უკლებლივ ყველა მასწავლებლის ხელფასი უნდა იყოს უფრო მაღალი და ამ მიმართულებით ჩვენ მაქსიმალურად ვმუშაობთ, რომ მივაღწიოთ ამ მიზანს საკმაოდ მოკლე ვადებში, რომ ყველა მასწავლებლის ხელფასი გაიზარდოს“, — განაცხადა ჩხენკელმა.

მისივე თქმით, სკოლაში დასაქმებული ყველა ადამიანის — პედაგოგის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასები უნდა გაიზარდოს.

სანთელი

რომან რურუა, გერმანე კუპრეიშვილი, ბადრი ბარკალაია, დათო ერქვანია, გიორგი შალამბერიძე, მალხაზ საჯაია ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, ყოველმხრივ გამორჩეული მამულიშვილის, დიდი პროფესიონალის

ზურაბ ჯორჯიკიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის დიდ ოჯახს.

შპს „გზამშენპროექტის“ თანამშრომლები დიდი გულისტკივილით უსამძიმრებენ ლევან ხუხუნაიშვილს დედის

თინა (კლარა) ორაგველიძის

გარდაცვალების გამო.

სათიბ-საძოვარი 25-წლიანი იჯარით გადაეცემათ

მთავრობის გადაწყვეტილებით, ორ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში გაერთიანებულ 134მოსახლეს, რომელთა საკუთრებაში არსებული საქონლის რაოდენობა 500-ზე მეტია, 2000 ჰექტარზე მეტი ფართობის სათიბ-საძოვარი 25-წლიანი იჯარით გადაეცემა, — როგორც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მაღალმთიან რეგიონებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალური გამოყენების მიზნით დაწყებული სახელმწიფო პროგრამა იმასაც ითვალისწინებს, რომ კოოპერატივებს თანადაფინანსებით გადაეცემათ ტრაქტორები, რომლებიც აღჭურვილია თიბვისა და მოთიბული მასის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ინვენტარით.

პრემიერმა რაჭაში კოოპერატივის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრა გაიხსენა, რომლებმაც ტექნიკის არქონა ძალიან დიდ პრობლემად დაასახელეს. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ კოოპერატივებისთვის ტექნიკის თანადაფინანსებით გადაცემის გადაწყვეტილება მთავრობამ სწორედ ამის გათვალისწინებით მიიღო.



შსს-ს აკადემიაში წიგნის პრეზენტაცია გაიმართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში პენიტენციურ სისტემაში მყოფ მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობის თემაზე მომზადებული სასწავლო სახელმძღვანელოს — „კომუნიკაცია და კრიზისული სიტუაციების მართვა დროებითი მოთავსების იზოლატორში“ — პრეზენტაცია გაიმართა. ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა მისასალმებელი სიტყვით გახსნა.

აკადემიის ფსიქოლოგების მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოში თავმოყრილია პენიტენციურ სისტემაში ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური აშლილობის ნიშნები და შესაბამისი რისკები, სუიციდის რისკ-ფაქტორები და პრევენციაზე ორიენტირებული, პრაქტიკული რეკომენდაციები, სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფთან ურთიერთობის ძირითადი პრინციპები, პენიტენციური სტრესი და კომუნიკაციის თავისებურებები სტრესის გავლენის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებთან, ასევე, კრიზისულ სიტუაციებში ფსიქოლოგიური დახმარებისა და დროებითი მოთავსების იზოლატორის თანამშრომლების თვითდახმარებისკენ მიმართული სტრატეგია და სტანდარტები.

სასწავლო სახელმძღვანელოს მიზანია პენიტენციურ სისტემაში დასაქმებული თანამშრომლებისა და სხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისთვის, ეთიკის, მტკიცებულებებისა და გამოცდილებაზე დაფუძნებული საუკეთესო პრაქტიკიდან გამომდინარე, როგორც თეორიული ცოდნის, ასევე, საჭიროებებზე მორგებული პრაქტიკული რეკომენდაციების მიწოდება, რაც კიდევ უფრო ეფექტურს და შედეგიანს გახდის მათ ყოველდღიურ საქმიანობას.

◎ ხალხური მედიცინა

პროფესორ ქრისტოს რეცეპტი

მედიკოსები გვარწმუნებენ, რომ ბულგარელი პროფესორის ქრისტო მერმერსკის რეცეპტი გულს გაგიჯანსაღებთ, იმუნურ სისტემას გაგიძლიერებთ და ღვიძლსა და თირკმლებს გაწმენდს.

ბულგარელი ექიმის მტკიცებით, ეს ბუნებრივი საშუალება კიბოს ყველა სახეობაზე მოქმედებს, გარდა ამისა, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას და ამცირებს გულის შეტევის რისკს.

რეცეპტი

ინგრედიენტები: 15 ცალი ლიმონი; 15 კბილი ნიორი; 900 გრ ნატურალური თაფლი; 400 გრ გაღივებული ხორბალი; 400 გრ ნიგოზი.

როგორ გავაღივოთ ხორბალი: ხორბალი დიდ ჯამში ჩაყარეთ, წყალი იმდენი დაასხით, რომ დაფაროს და ღამე ასე დატოვეთ. დილით წყალი გადაწურეთ, ხორბალი გაავლეთ და 12 საათის შემდეგ კიდევ ერთხელ დოლბანდში გაწურეთ. 24 საათის შემდეგ პურის მარცვლები გაღივდება.

მომზადების ხერხი: დაკეპეთ ნიგოზი და ნივრის კბილები, დანაყეთ გაღივებული პურის მარცვლები. ქერქიანად დაჭერით ხუთი ლიმონი და ნარევს დაამატეთ. დარჩენილი 10 ლიმონი გამოწურეთ და წვენი ნაზავ პროდუქტებს მოასხით. შემდეგ ყველაფერი ერთგვაროვანი მასის მიღებამდე აურიეთ. მერე ხის კოვზით თაფლი დაამატეთ და კარგად მოურიეთ. ნარევი მინის ქილებში გადაიღეთ, შედგით მაცივარში და სამი დღე-ღამე დატოვეთ.

მიღების წესი: საუზმემდე, სადილამდე და ძილის წინ მიიღეთ ერთი-ორი სუფრის კოვზი ნაზავი. თუკი მას კიბოს სამკურნალოდ ხმარობთ, მაშინ ერთი-ორი კოვზი ყოველი 2 საათის შემდეგ უნდა მიირთვით.

ეს საუკეთესო ნაღები-წამალი ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს გაჩუქებთ, კიბოსგან განგკურნავთ, სხეულს კი ენერგიით აგივსებთ, — აცხადებს პროფესორი მერმერსკი.

მთავარი ადგილი კი არა, სტრუქტურაა

მსოფლიოს წამყვანი ონკოლოგების განცხადებით, ბოლო ხანებში არაერთი უაღრესად საინტერესო ნაშრომი შეიქმნა, რომლებშიც სიმსივნეთა ჰეტეროგენურობის საკითხები განიხილება. ეს კი არსებითად იმას ნიშნავს, რომ ყველა სიმსივნე სხვადასხვა ხასიათისაა, მცნება — „კიბო“, უბრალოდ, არ არსებობს.

ბოლო დროს გაჩნდა მოსაზრება, რომ სიმსივნის შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს არა მის ადგილმდებარეობას, არამედ სტრუქტურას. ამა თუ იმ სტრუქტურის მქონე სიმსივნე შეიძლება ნებისმიერ ადგილას იყოს ლოკალიზებული. იგი სხვადასხვა სახეობის უჯრედებისგან შედგება, რომლებიც შესაძლოა, სრულიად განსხვავებულად რეაგირებდნენ ნებისმიერი სახის მკურნალობაზე — ქიმიოთერაპია იქნება ეს თუ ქირურგიული ჩარევა. სიმსივნე ასევე შეიძლება, არ დაექვემდებაროს სხივურ თერაპიას. ამის დადგენა მედიკოსებს სწორი თერაპიული მეთოდოლოგიის შერჩევაში ეხმარება.

კიდევ ერთი პერსპექტიული მიმართულებაა გენეტიკური მუტაციების შესწავლა, რომლებიც ავთვისებიანი უჯრედების წარმოშობასა და გამრავლებას იწვევენ. ამ გამოკვლევებს მეცნიერები კიბოს განვითარების მექანიზმის მოქმედებასთან მიჰყავს, ასევე ხელს უწყობენ მისი რეციდივების გაჩენას ნებისმიერი სახეობის მკურნალობის შემდეგ, აახლოებენ მისი აგრესიულობის დონის დადგენის ხერხებთან. ეს კი იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ დადგინდეს, თუ რაოდენ დიდია ალბათობა იმისა, პაციენტს კიბო შეუბრუნდება თუ არა.

არის კვლევის კიდევ ერთი პერსპექტიული მიმართულება, ესაა **ინდივიდუალური ქიმიოთერაპია**: ექიმები არკვევენ თხევად გარემოში თუ როგორ მოქმედებს ჩვეულებრივ ან მეტასტაზურ უჯრედზე ამა თუ იმ ტიპის ქიმიოთერაპია და რამდენად მიზანშეწონილია ავადმყოფისთვის მისი დანიშვნა.

ნინო ალექსანდრია



ნარგავები შეინარჩუნეს

მარშალ გელოვანის გამზირზე, საკალათბურთო მოედნის მშენებლობის ადგილიდან ნარგავების შენარჩუნების მიზნით ექვსი ხე-მცენარე მიმდებარე ტერიტორიაზე გადაირგო.

ხე-მცენარეების გადარგვა აგროტექნიკური ღონისძიებებისა და ნარგავების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისთვის საჭირო პროცედურების სრული დაცვით განხორციელდა, რომლის დროსაც, ადგილზე თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი გიგა გიგაშვილი და დიდუბის რაიონის გამგეები ირმა ზავრადაშვილი იმყოფებოდნენ.

„დიდუბის რაიონის გამგეობის პროექტის ფარგლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე კალათბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები დაიწყო. არსებობდა რამდენიმე ხე-მცენარე, რომელიც მშენებლობის პროცესს ხელს უშლიდა. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მწვანე ნარგავების მაქსიმალური შენარჩუნებაა, ყველა საჭირო ღონისძიებას მივმართავთ იმისთვის, რომ თითოეული ხე-მცენარე შესაძლებლობის ფარგლებში შევინარჩუნოთ. გადარგვის სამუშაოები აგროტექნიკური მოთხოვნების სრული დაცვით განხორციელდა. ამასთან, ჩატარდა ხე-მცენარის სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებები, რათა გადარგვის შემდეგ, მისი განვითარება მოხდეს და ახალ გარემოსთან ადაპტაცია არ გაუჭირდეს“, — აღნიშნა გიგა გიგაშვილმა.

დიდუბის რაიონის გამგებლის განცხადებით, მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, მოედნის მშენებლობის პარალელურად, მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერიც მოეწყობა.

რა დააშავეს სტუდენტებმა?

ბათუმი-თბილისის მატარებელზე სტუდენტები შეღავათიანი ფასის ბილეთებით ვერ სარგებლობენ.

„აჭარის ტელევიზიის“ ინფორმაციით, სტუდენტური ფასდაკლება 19 თებერვლიდან შეწყდა.

როგორც საქართველოს რკინიგზაში აცხადებენ, ფასდაკლება არ გაუქმებულა და ხარვეზების აღმოფხვრის შემდეგ სტუდენტები კვლავ შეღავათიანი ფასით ისარგებლებენ.

ცნობისთვის, სტუდენტური შეღავათი მხოლოდ მაგისტრალური მიმოსვლის ყველა ელექტრომატარებლის მეორე კლასისა და სამგზავრო მატარებლების კუპირებულ ვაგონებზე ვრცელდებოდა.

შეღავათიანი ბილეთის მფლობელი სტუდენტების მატარებლებში დაშვება 2017 წლის მაისში გამარტივდა.

„ოღონდ აქედან წავიდეთ...“

ბრიტანელმა სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ 26 წუთზე მეტის მოცდა მამაკაცებს არ შეუძლიათ.

გამოკითხვების შედეგად გაირკვა, რომ მამაკაცების 80 პროცენტში საყიდლების პროცესი მოწყენასა და გაღიზიანებას იწვევს. სწორედ ესაა იმის მთავარი მიზეზი, რომ მაღაზიაში გატარებული ნახევარი საათის შემდეგ ხუთიდან ოთხი მამაკაცი ნებისმიერი ნივთის შეძენაზეა თანახმა, ოღონდ იქაურობას თავი დააღწიოს.

მამაკაცის ფსიქიკის სწორედ ეს გარემოება აქვს აღებული „შეიარაღებაზე“, მრავალ მეუღლეს, რომელიც ამ გზით ქმრისგან სასურველი ნივთის ყიდვის თანხმობას იღებს ხოლმე.

სათნოების მონათა ორდენი



ვარაუდობენ, რომ ახალშობილი გოგონების წითელი ბაფთით გადახვევის წესი, ნათლობისას დიდი თავადის ასულებისთვის წმინდა ეკატერინეს ორდენის ბოძების ტრადიციიდან მოდის, რომელიც წითელი საორდენო ბაფთაზე იკიდებოდა.

ეს ორდენი 1713 წელს რუსეთის მეფე პეტრე I-მა, თავისი მეუღლის ეკატერინეს პატივისცემის ნიშნად დააწესა. მარტო მანდილოსანთათვის განკუთვნილი ორდენები, მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჯილდოების სისტემაში არსებობს, თუმცა რიცხოვნობით ისინი „მამაკაცებისაზე“ გაცილებით ნაკლებია. მათგან პირველი ევროპული ორდენი რომის წმინდა იმპერიის იმპერატრიცა ელეონორა მონზაგამ 1662 წელს დააარსა და „სათნოების მონათა“ სახელი ჰქონდა, ხოლო დევიზი „ოდენ მარტო იგი ზეობს ყოველგან“ იყო.

რომის წმინდა იმპერიის იმპერატორის ქვრივის ამ წამოწყებას მხარი დაუჭირა რომის პაპმა კლიმენტ IX-მ. ორდენს ორი ნიშანი ჰქონდა, დიდს — კარის საზეიმო მიღებების დროს ატარებდნენ, მცირეს კი ჩვეულებრივ დღეებში. მას მარცხენა მხარეს ძეწკვზე ჩამოკიდებულს ატარებდნენ, რომელზეც არტახები და თოკები იყო გამოსახული — ეს სათნოების „მონური“ მორჩილების სიმბოლოები იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

გასაცინებელი ა(მ)ბები

შანსები

სამოცი წლის მდიდარმა ბერბიჭამ ახალგაზრდა ქალიშვილზე დაქორწინება გადაწყვიტა და ძმაკაცს რჩევას ეკითხება:

— რას ფიქრობ, თავი 55 წლისად რომ გავასაღო, ჩემი შანსი გაიზრდება?!

გონებადამჯდარმა ძმაკაცმა მიუგო:

— მე კი ვფიქრობ, შანსი ბევრად უფრო გაგეზრდება, თუკი ეტყვი, 85 წლის ვარო.

უტყუარი სიყვარული

გოგონა უკმაყოფილოა თავისი კავალერით, რომელიც სულ დუმს და ეკითხება:

— რატომ არასოდეს არაფერს არ მელაპარაკები?

— უტყუარ, ნამდვილ სიყვარულს ლაპარაკი აღარ სჭირდება.

— არა ხარ მართალი, ის მამას ელაპარაკება.

მკურნალობის კურსი

ნიუ-იორკელი კლერკი ავად გახდა და ექიმთან წავიდა. რამდენიმე ვიზიტის შემდეგ მეგობარი ეკითხება, როგორ ხარ, ახლა თავს როგორ გრძნობო?

— ექიმი დამპირდა, ჩემი მკურნალობის კურსი მალე ფეხზე დაგაყენებსო და, მგონი, მართალი მითხრა.

— მართლა უკეთესად გრძნობ?

— არა, მაგრამ იძულებული ვარ, მანქანა გავყიდო და ფეხით ვიარო.

დაცემა

კიბეზე ხმაურია.

— რა მოხდა? — კითხულობს დედა.

— მამას არყის ბოთლი მოჰქონდა და კიბეზე წაიქცა.

— არაყი დაექცა?

— არა, პირი მოკუმული ჰქონდა.

გაახალგზარდავება

ერთ-ერთ საავადმყოფოში ხნიერ კაცს გაახალგაზრდავების ოპერაციას უკეთებენ. ოპერაცია უნარკოზოდ კეთდება. გარკვეული დროის შემდეგ ტკივილისგან შეწუხებული პაციენტი ცხარე ცრემლით ტირის. ექიმი ამშვიდებს:

— ოპერაცია უკვე მთავრდება, კიდევ ერთი წუთი და ტკივილიც დაგიყუჩდებათ.

— ტკივილის გამო არ ვტირი, — მიუგებს პაციენტი, — მეშინია, სკოლაში არ დამაგვიანდეს.



უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4767; ევრო - 3.0558;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4649;
100 რუბლი - 4.3679; თურქული ლირა - 0.6554;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4614;
1000 სომხური დრამი - 5.1544.

ამინდი 22 თებერვლისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +11
მთიანი რაიონები - ღამე -4, დღე +11
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -1, დღე +13
თბილისი: ღამე +5, დღე +10

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge